

140
1986/2



300630

5
1986

ასი წელია, ასი!

აქთანელილ გუგუნიძე

ასი წელია ასი,
 მაისს ვზვიმოთ ასე, —
 ვიცით დაღვრილი სისხლის
 ფერი, ძალა და ფასი...
 გვაქვს საუკუნის გზაზე
 სხვა იმედების დასი,
 გულებს ერთობით

ვაფსებთ, —

ასი წელია, ასი!
 სისხლით დაიწყო იგი,
 ახლაც გრძელდება ხაზი...
 მუშის ალალი ფიქრის
 ასი წელია, ასი!
 ხელის შესება ხელზე,
 მხარის შესება მხარზე,

დროშების გაშლა მზეზე —
 ასი წელია, ასი!
 მშვიდობის მტრადი ცაში,
 როგორც იმედი ნაზი,
 უგულწრფელებსი ტაში, —
 ასი წელია, ასი!
 მაისს შევიცნობთ ფერზე,
 მაისს შევიცნობთ სმაზე...
 მაისს ვუდგებით ფეხზე, —
 ასი წელია, ასი!
 დღეო, გადიდდი მეტად,
 გული ხალისით ავსე!
 მტკიცედ, ლამაზად,
 ერთად, —
 ასე, მაისო, ასე!

შაქი

ქვეყანა ვახლიაშვილი

ეს გაზაფხულიც ხომ კვლავ
 დადგა,
 თბილი და წყნარია აისი.
 მშვიდობის მაცნედ მოსულა
 მაისი!
 მაისი!
 რამდენი ლურჯთვალა იაა:
 თამრიკო,
 ლია თუ
 გოგია...
 სიცოცხლის ყვაფილებს —

სალამი!

მოდიან!
 მოდიან!
 მოდიან!

მოდიან დროშების
 ფრიალით,
 რა შემართებაა, ხალისი!
 სიცოცხლის კელაპტრებს
 აანთებს

მაისი,
 მაისი,
 მაისი!
 ლურჯთვალა იების
 ვისკისში

მომავლის ფესვები ვიცანი.
 მშვიდობა!
 მშვიდობა!
 მშვიდობა! —
 ეს არის დღეს ჩვენი მიზანი.





თითოეული მიღებული ახანათი დიდი სიპარალია ნორი ინტერნაციონალისგანსათვის.

პარტია:
**„კომუნისტი-
 პარტიის-ნიკა-
 ნიშიონალისაჲი“**

უმცროსი მეგობარი. ჩვენი დროს კიდევ ერთი „გაგროში“. დემონსტრანტების რიგებში რომ დაიღუპა 1962 წელს.

კლუბისთვის დანიელ ფერის სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით კვალითელმა მოსწავლეებმა გადაწყვიტეს ფრანგი თანატოლებისთვის მიეწერათ ამის შესახებ, თან თავიანთ საქმიანობაზეც მოეხსროთ, მისწერეს კიდევაც და დღე-ღამეზე პასუხსაც ელოდებოან.

ფერიღვაი

„გამარჯობათ! გწერთ აურია ნიკიტოროვა იაკუტიიდან ძალიან მინდა, თბილი საქართველოდან პატარა წერილი მინც მივიღო. ასეთი სურვილი ალბათ ყველა ჩრდილოეთში მცხოვრებს გაუჩნდება, როცა ვართ ქაბუქი და 67 გრადუსი ყინვაა. თქვენთან კი, ალბათ, ჭერებში და ატბები აყვავდა...“

მე მივმართე ბიუს ან გოგოს, რომელიც საკლასო ეურნალის სახში მეთორმეტეა. მინდა, რომ სწორედ მან მიპასუხოს წერილზე. მომწერე ჯერ იმაზე, თუ რატომ ჰქვია შენს სოფელს „კალითი. მომიყევი მისი ისტორია...“

„ძვირფასო კვალითელო მოსწავლეებო! ჩვენ ქალაქ ბელციდან ვართ, ჩრდილოეთ მოლდავეთის მთავარი მივიანიჭოთ ჩვენი კლუბს. ათი წელი ითარგმნება როგორც „უაობი“. ჩვენთან ორმოცა სწარმოა. რომელთა პროდუქტია მსოფლიოს ოცდაათ ქვეყანაში იგზავნება. თქვენ გაეცხული გექნებთ ჩვენი პამიდორის საკრეფი“

18217

**პათეზას
 გზაგორიშვილი**

**ფილი
 ფრიდონ უანდალაიანი**

**ჩვენი კანა
 გეგრონიკაჲი**

აგერ უკვე ათი წელია, ზესტაფონის სიახლოვეს მდებარე სოფელ კვალითის ფოსტალიონი კვირაში სამჯერ მინც არღვევს თავის ჩვეულ მარზრუტს და ფოსტის ჩამოტარებას საშუალო სკოლით იწყებს — დატრევის აქ წერილ-ამანათების უმეტესი ნაწილს და მერეღა დაუყვება სოფელს. იმიტომ, რომ კვირაში სამჯერ, უფრო ხშირადაც თუ არა, კვალითელი მოსწავლეები მეგობრების წერილებს ღებულობენ. რა მისამართებს არ ამოიკითხავთ კონვერტებზე — იაკუტია, კარელია, უკრაინა, ლიტვა, მოლდავეთი... ახლა ინტერნაციონალური მეგობრობის კლუბებს რა რომანტიკული სახელები აქვთ — „სიკაბუქე“, „ჩირალდანი“, „თანატოლი“, „მერიდიანი“... ხანდახან კონვერტზე ისეთ წარწერასაც ნახავთ, პოლტაველ ვიფონას რომ მიუწერია — „ჩემგან“...

ათი წლის წინ დააარსეს კვალითელმა მოსწავლეებმა ინტერნაციონალური მეგობრობის კლუბი სკოლაში და ლამაზი სახელიც მისცეს — „გლობუსი“. კლუბში სიძი სქეცია

შექმნეს — მიმოწერის, მოძმე რესპუბლიკებისა და მსოფლიოს ქვეყნების, ფილტელების. ამ ხნის განმავლობაში კლუბმა არაერთი ასოს წერილი მიიღო, არაერთი ქვეყნის ისტორია შეისწავლეს მისმა წევრებმა, მარკების არაერთი ალბომი შეადგინეს. მაგრამ მხოლოდ შარშან, კლუბის პრეზიდენტის ერთ-ერთ სხდომაზე შესთავაზა ფრანგელის მასწავლებელმა ეთერ ჭიჭინაძემ ნორჩ ინტერნაციონალისტებს:

— მე მეგონი, ბავშვებო, დროა, ერთ-ერთი გმირი პიონერის სახელი მივიანიჭოთ ჩვენი კლუბს. ათი წელი კარგა დიდი დროა, ისე რომ, ვფიქრობ, გვაქვს ამის უფლება...

მერე საერთო კრებაზე კლუბის წევრებმა კიდევ ერთხელ გაისინეს გმირი თანატოლების ბიოგრაფიები, ისაუბრეს, იმსჯელეს და ბოლოს გადაწყვიტეს, დანიელ ფერის სახელი მიეკუთვნებინათ თავიანთი ინტერნაციონალური მეგობრობის კლუბისათვის. ხომ გასსოვთ მამაკც ფრანგი ბიჭუნა სენ-დენის კვარტალიდან, ლურჯბურეტიანი ფრანგი მუშების

კალითი

საქართველო, უკრაინა და
 ს. ი. უანდალაიანი
 უკრაინული რესპუბლიკის
 უკრაინული სკოლის
 საბავშვო პარტიის

პარტიის
 1926
 წლის 36

საქართველო
 მ. მაისი 1986



წამილები, ლხა პაკოტაძე, პაკოტაძე ახმეტაძე, ინჟინეროვსკაია
 ვაჟა-ფშაველას ქუჩაზე.

კომპანიის შესახებ. მოგვეჩვენეთ, რით არის განთქმული თქვენი რაიონი. მოლდავეთის სიმბოლო ყარაგატია. არსებობს ლამაზი ლეგენდა იმის შესახებ, თუ როგორ გადაარჩინა ყარაგატების გუნდმა ციხე-სიმაგრე თურქი იანიჩარებისაგან. თუმცა ამაზე — შეძლებე წერაღმოს...“

— იცით, რამდენი ქვეყანა და ქალაქი, რამდენი ელთზე გაიციანთ ასე? — ვიყევბა „გლობუსის“ „უხუცესი“ წვერი ვერიო ხუსეიყაი. იგი უკვე ექვსი წელია აქტიურად მუშაობს კლუბში. — ახლა ჩვენი რესპუბლიკის, რაიონის, სოფლის შესახებ რამდენ ჩვენ თანატოლს მოუთხრეთ! ჩვენ კოლექტიური მიმოწერაცა გაქვს და ინდივიდუალურიც. ყველას გვაყავს ჩვენ-ჩვენი მეგობარი, აი, მე, მავალითად, მესამე კლასიდან ვმეგობრობ ტერნობოლეს გოგონასთან, ეს წერილი და ნაქარგობებიც ახლახანს მივიღე მისაგან.

მეზუთეკლასელ გოდერძი გუნიავსაც მეგობრის წერილი და ფოტო უქირავს ხელში, სურათზე მეზღვაურის მაისურსა და აშკარად დიდ ოფიცრულ ქუღში გამოწყობილი ბიჭუნაა. — ეს არის ჩემი მეგობარი, დიმა გიეტლონი მოლდავეთიდან, მეზღვაურობაზე ოცენობის... ვიქსინის გოდერძი, — ჩვენი მეგობრობა კი იმით დაიწყო, რომ მე მის მიერ შემოთავაზებული ვიქტორების კითხვებზე ვაგეცი პასუხები... ძალანა გვიინდა ერთმანეთის ნახვა, რა ვიცი, მიპირდება, ჩამოვალო და ვნახათ...
 „გლობუსის“ წერებზე დაწერილ-

ბით იციან კიევის, ხერსონის, ტაშკენტის, კიშინიოვის ისტორია და დღევანდელი დღე. თუმცა არც ერთი მათგანი არ უნახავთ, მაგრამ მეგობრების მიერ გამოგზავნილი აბოზომების, წიგნებისა და ღია ბარათების საშუალებით მოგზაურობენ დაუსწრებლად, ღირსშესანიშნაობებსაც ნახულობენ და საინტერესო ადამიანებსაც ხვდებიან.

მარკაბილან
ენის
შისწავლაზე


სოფიკო ბაბუხანია მეოთხე კლასიდან ხელმძღვანელობს ინტერნაციონალური მეგობრობის კლუბის ფილატელისტთა სექციას. თითონ მას მიუღ სკოლაში საუკეთესო კოლექცია აქვს. სწორედ მასთან მობის ყველა დამწევი ფილატელისტი რჩევისთვის და სოფიკოც საიმოვნებით ეხმარება. უქსნის, ასწავლის. თავად სოფიკომ კი დონეცკელი თანატოლის სვეტლანა ბოიჩუკის წყალობით შეიყვარა ფილატელია. ადრე მარკები სულ არ აინტერესებდა და მიმოწერის სექციაში იყო გაერთიანებული. სწორედ მაშინ მიიღო სვეტლანასგან პირველი წერილი და მომდევნოც, რომელშიც მარკებიც იყო. მათზე ძველი ინლოე-ეთის ოქრომჭედული ხელოვნების ნიმუშები იყო ასახული. წერილში კი იმდენი საინტერესოა რამ იყო მოთხრობილი მარკებზეც და მათზე აღბეჭდილზეც, რომ სოფიკოს თეი-

თონაც გაუჩნდა მარკების შეგროვების სურვილი. თავიდან სვეტლანა ეხმარებოდა, მერე, კარგად რომ გაეცნა, სხვა ამხანაგებსაც ვადალო თავისი ვატაცება სოფიკომ და ახლა სკოლაში ბევრ გოგო-ბიჭს აქვს მარკების ძალზე საინტერესო კოლექცია. კიდევ ერთი რამ აქავეშირებს სოფიკოსა და სვეტლანას — ენების შესწავლა. სოფიკომ მეგობრის საშუალებით ძალზე ბევრი უკრაინული სიტყვა ისწავლა, სვეტამ კი მისი დასმარებით — ქართული. თავიდან გოგონებს გაუჭირდათ, განსაკუთრებით სვეტამ. უკრაინული კი ჰგავს რუსულს, მაგრამ ქართული არ ჰგავს არცერთ სხვა ენას. მერე, როცა ტრანსკრიპციით წერას მიმართეს, საქმე ვადვილდა, მერე სახელმძღვანელოებიც გაუზახნეს ერთმანეთს და ამჟამად თითოეულმა სამასამასი სიტყვა მიიღ იცის — ერთმა ქართული და მეორემ — უკრაინული.

როგორ
სხმოვოა,
უხსოვლო
თხანატოლო?

„გლობუსის“ თითოეული წვერი საკუთარ სექციას ყველაზე საინტერესოდ მიიჩნევს. ეს, რა თქმა უნდა, ძალზე კარგია, უმისოდ არც წინსვლა იქნებოდა და არც წინამძებებისკენ სწრაფვა. ხოლო როცა გვერდით ისეთი დამხმარებები და მრჩეველები გვაქვს, როგორც თეთრ მასწავლებელი და პიონერხელმძღვანელი ნანა ფერაქე არიან, წინსვლა და წინამძება უზრუნველყოფილია. მათ ყოველთვის აქვთ საინტერესო იდეები ამოუწერავი მარაგი და, რაც მათავარია, ამ იდეების მიწოდების უნარი, ისეთი, რომელიც არ აღიზიანებს მოსწავლეებს. კლუბის თავმჯდომარე სოფიკო ჩაჩუა კიდევ მუდამ მზად არის, აიტაცოს ეს იდეა და ამხანაგებთან ერთად შეუღლებს მის განწორიცილებას. ასე იყო მაშინაც, თეთრ მასწავლებელმა კლუბისთვის გმირი პიონერის სახელის მინიჭებამ რამ ჩამოავდო ლაპარაკი, ხომ ვახსოვთ, მაშინვე ვაღაწყვიდა, ფრანკი პიონერებისთვის წერილი მიეწერათ. რა მუშაობა ვაშაღეს მა-

შინ მოძმე რესპუბლიკებისა და მსოფლიოს ქვეყნების ისტორიის შემსწავლელი სექციის წევრებმა! სწორედ მათ ურჩიეს დანარჩენებს, ხუ ვიჩქარებთ წერის მიწერას, ჯერ საფრანგეთის ისტორია შევისწავლოთ, მის გვიგრაფისა და კულტურას გავცნოთ, რაც შეიძლება მეტი შევიტყოთ ფრანგი ბავშვების შესახებო. ასეც მიიქცნენ, იმითომ იყო, წერლის მიწერა რომ შეგვივიდათ. ახლა კი გულის ფანქვლით ელიან ფოსტალიონის ყოველ გამოჩენას და ალბათ, როცა საფრანგეთიდან სანუგვარი პასუხი მოვა, კვალითელ ნორჩ ინტერნაციონალისტთა პიონერული ყელსახვევების კოლექციაში ავსტრეილი, ინგლისელი თანატოლების ყელსახვევების გვერდით ფრანგი ბავშვების ლურჯარშიამოვლებული წითელი ყელსახვევიც გაჩნდება...



იგი თემურ შახათაძეს მაშინ გაუჩინდა, ბაშელ ქართველებზე შექმნილ ტელეგადაცემას რომ უყურა. რა ამბავი იყო მეორე დღეს სკოლაში! რა გამოცოცხლებმა კამითონდნენ, ბუობდნენ, ზოგი ლამის მაშინვე აპირებდა ბაშელ გაპარვას. მარტო თემური არ იღებდა ხმას. მერე კი წყნარად თქვა:

— მოიცაო, ბავშვებო, მე მგონი, ყველაფერს ჯობია იკაბიაში ამნათი გავგზავნოთ. ხომ გასსოვთ, როგორ ნატარულობდნენ ბავშვები ლობოსს, ჩურჩხელებს, ჭვას, ტულას. მოდით, შევავროვოთ ერთიც, მეორეც, ზაფხულში კოლმეურნეობაში გამომუშავებული ფულის ნაწილი ხომ მოგვრჩია და...

მეორე დღესვე დაიწეს ბაშელ გასავხავნი ამნათის მზადება, ზოგი რას ეზიდებოდა და ზოგი რას. ჩაღწია იმ ამანათმა იკაბიაშელ და ძალიანაც გააბარა იქაური ქართველი ბავშვები.

ამგვარი კეთილი საქმე ბევრია "ბლობუსის" ანგარიშზე, მაგრამ მის წევრებს მინცდამინც არ უყვართ მათზე ლაპარაკი, ტრაბახად არ ჩაგვეთვლოსო. აი, მათ მიერ ჩატარე-

ბულ სოლიდარობის ბაზრობაზე ზესტფონის კომკავშირის რაიკომში რომ არ ეუმზათ, ვერც კი გავიგებდით, როგორ მარჯვედ ირჯებოდნენ კვალითელი გოგონები, როცა თვითონ ნახელავ კაბებსა და ხალათებს სთავაზობდნენ, ან როცა ბიჭების მიერ ნაოსტატებ ჩაქუჩებას და საქსოვ ჩხირებს აწონებდნენ მყიდველს. მთელი თანხა მერე შვიდობის ფონდში გადაირცხეს კვალითელებმა. თუ "ბლობუსის" დღიურს გადაშლით, კიდევ ბევრ რამეს შეიტყობთ კლუბის საქმიანობაზე.

თვეში ორჯერ იკრებებიან ნორჩი კვალითელი ინტერნაციონალისტები თვითონი კლუბის სხდომაზე და მაშინ პიონერთა თათხში გვიანობამდე არ ქრება შუტი, მისწავლეები და მათი მასწავლებელი, ეთერ კვიციანიძე ბეგის საუბრობენ, მსჯელობენ, წერენ წერილებს, ეცნობიან ახალ მარჯებს, ავსებენ კლუბის დღიურს, სახავენ სამომავლო საქმეებს, ცოტ-ცოტა ფრანგულადაც ლაპარაკობენ. ხვალ კი... ხვალ კვლავ სკოლიდან დაიწყებს ფოსტის ჩამორიგებას კვალითელი ფოსტალიონი...



მს სკოლი რადიოლ დარია მართობრას მზადებულს. — მათი მზადება მთუნახვ, კომუნის სკოლაში პაბაგის კვალითელთა კლუბი.
 მომზადე მზინიკა კარვს პარის მხარის მირის მკვობრისხავე



ფრონტზე გასვლა უნი აქანი



ზურაბ ქუჩინიძე

გ ო ტ ხ რ ო ბ ა

მატეატი პარლი ვაჟაძე

1

დღეს გასაკეთებელი საქმე სვალისთვის არ უნდა გადადო! — ჩასწიწინებდნენ ღურმიას, მაგრამ, არაფერი ბეტიკინოთ, ერთ ყურში რომ შეუფებდა, მეორეში გაატარებდა. ანდაზაც შეასხენეს — მედღეუბნავლია კაცსაო თოვლი მიადგა კარსაო! „მიადგა და დადნებაო“, — პასუსობდა. — სვალაც ამ თვის არისო! — იმშვიდებდა თავს. ადგინენ და „მეზავლია“ შეარქვებ.

ყველაფერი სდება. შეიძლება კაცმა სხვადასხვა მიზეზის გამო ვერ მოახერხოს დღეს გასაკეთებელი საქმის მოგვარება და სვალისთვის გადადოს, მაგრამ თუკი ამის ჯაგრი ძილში ჩაჰყვა, თუ შეაქუსა, მეორე დღეს მართლაც მოეცლება ყველაფერს.

კი, შეიძლება ბევრი რამ გადადო სვალისთვის: კინო, რიონში ბანაობა, აჯამეთის ტყეში სოკოს დაკრეფა, მეზობლის გულაბზე აპარვა. მაგრამ დღეს მოსამზადებელი გაკეთებლის სვალისთვის გადადებისა კი რა მოგასენოთ. ამაზე რას იტყვის მეზავლია?

ფიქრობ, ვერაფერს. ამიტომ მე ვიტყვი: ეს და ამის მსგავსი საქმე დღეს და მსოფლოდ დღეს უნდა გააკეთოთ.

ეს კი ვერა და ვერ შეიგნო ღურმიამ, პოდა, არც მოსცილებია მის რვეულსა და დღიურს „კუდიანი“ ორიანეში.

2

პირველი გაკეთების დამთავრებას აღარაფერი უკლდა, საკლასო ოთახში დირექტორი, სასწავლო ნაწილის ვამე პარმიენი, პიონერსკომპლენანელი ალგინა და დამრიგებელი თამარ მასწავლებელი შემოვიდნენ.

ყველა ფეხზე წამოდგა. — დასხედით, ბავშვებო! — მშვიდად თქვა დირექტორმა, პატარა ჭადარა ქალმა, და მასწავლებლის მადიდას მომუშტული ხელებით დაეყრდნო.

ბავშვები დასდნენ და გასუსულები მიპირდნენ შემოსულებს.

„რადაც მოხდა, — გაიფიქრა ღურმიამ. — მთელი სკოლა მძღანელობის ასე ერთად გაკეთილზე შემოსვლა იშვიათი ამბავია. ბუხუტია ლომთაძის ვამო ხომ არა? მაგრამ ბუხუტიას თავგადასავალი შერეულკლასელებმა კი არა, მთელმა ქალაქმა გაიგო“...

ამ ათი დღის წინ მეთექვსმეტე ბუხუტი ლომთაძე სკოლიდან შინ არ დაბრუნებულა. შინარები აჭრიალდნენ. გვიან დამით მილიცია ჩაერია საკმეში, შავრამ მიწამ ჩაყლაპა თუ ცაში აფრინდა, კაცივილმა ვერ გაიგო.

მესამე დღეს ფრონტიდან მომავალმა ცალფეხა სერჯანტმა ქაბარში სვლაზე დაბრუნებული მიგვარა შინარებს.

ბუხუტი თურმე სადგურ რიონში ჩასულა და რომელიღაც ველონს გაჰყოლია. სანამ ვაგონს შეასტებდა, მისრისთვის ჩანთა შეურჩეუბია და უთქვამს, ქუთაისში ამა და ამ მისამართზე მიიტანე და ჩემიანებს შეატყობინე. თქვენი ვატი ბუხუტი ლომთაძე ფრონტზე წავიდა და არ იჯავროთო. მარტოსხელა მოხუცი, საუბედუროდ, იმ საღამოს ავად გამსდარა და სიტყვა დანიშნულებისამებრ ვერ მიუტანია.

შუა გზიდან მობრუნებულმა ბიჭმა დაირცხვნია და მთელი ფიქრა სკოლაში არ დაიღოდა...

— ბავშვებო! — განაგრძო დირექტორმა. — სვალ ტანჯაწინააღმდეგო თხრილებზე სამუშაოდ არ წავალთ...

„რადაც უფრო მნიშვნელოვანი სდება!“ — ყური ცქვიტა ღურმიამ.

დირექტორი შეყვანდა, ხელები მოიფშვინტა და ბორძიკით, ნაწყვეტ-ნაწყვეტად გვითხრა:

— სვალ ჩვენმა სკოლამ ფრონტს ამანათები უნდა გუზავნოს და, ვისაც რის მოტანა შეეცილიათ, აბა, თქვენ იგიეთ!

1942 წლის შემოდგომის მიწურული იყო. ასეთი რამ

პირველად ხდებოდა სკოლის ცხოვრებამი.

ომი ომია და ბევრი გაჭირვება და მწუხარება მოუტანა აღმართებს არა მარტო ფრონტზე, არამედ ზურგშიაც თითქმის უამრავად დარჩენილ ოჯახებში სელმოკლეთში, ფრონტზე წასული მამებისა და ძმების დაღმასაღწევა. მოსწავლეებს ვერ წარმოუდგინათ, რისი წამოღება შეიძლებოდა სახლიდან.

— წიგნები, — თქვა შოშიამ, — იქნებ, სახდასან, მათ წასაკითხავად მორიგაღონ მებრძოლებმა...

— თბილი საცვლები... — წაიჩურჩულა დირექტორმა და წელში ორად მოიხარა.

— წინდები, შინასქსოვი თბილი წინდები! — დაუმატა თამარ მასწავლებელმა.

— ხილი, ხმელი ხილი! — თქვა დირექტორმა.

— ჩურჩხელები? — იკითხა წრია პეტიონომ.

— მისწვება! — გაიღმა პარმენ მასწავლებელმა. — ჩურჩხელები, ტკბილი ავერი, ტელაში ყოველგვარ შოკოლადზე უფრო გამრეხილი და მარგებელია მებრძოლისათვის. გამოიძინა... — ცოტა ხანს შეჭრდა, ყვარჯუნი მონივრულა და განაგრძო: — ვინ იცის, თქვენი გაგზავნილი ამანათი სწორედ თქვენს მამებს და ბიძებს მიუვიდეთ... რა არ ხდება ფრონტზე...

დურმისა გვერდით მუდარი რუსიკო უცრად შეკრთა და ხელები ზურგს უკან დაშალა: ერთი თვის წინ ქვრივადან მამის დაღუპვის ამბები მიიღო სისმა ოჯახში და...

ბოლო გაკვეთილზე ფიზკულტურის მასწავლებელმა დურმია და ერთი ბიჭვ მკაცრად გააფრთხილა:

— შინ წასვალთ, სწრაფად ისაღილებთ და მაშინვე სკოლაში მიბრუნდებით. ხვალ, სომ იციო, კალათბურთში ბოლო საწვრთნელი ვარჯიში გვაქვს ჩასატარებელი. წაგება თავის მოჭრა! გასაგებია?

— გასაგებია! — უპასუხეს.

— გაკვეთილებს საღამოს ჩაუჯექით! გასაგებია?

— გასაგებია, მასწ.

— აბა, შინსაკენ!

— ხვალ... — წამოიწყო დურმიამ.

— ხვალ რაო, მესვალაივ? — იკითხა ფიზკულტურის მასწავლებელმა.

„ხვალ ამანათები გვაქვს გასაგზავნი ფრონტზე და ვინ რა უნდა მოგიტანოთ, ეს დღეს უნდა მოგაგვაროთ“.

— უნდა ვთქვა, მაგრამ გადაიფიქრა.

— ხვალ უეჭველად მოვიგებთ, მასწ... — ესაღ თქვა და თითქოს კალათისკენ ბურთი ისროლაო, ისე აიქნია ხელები.

3

შინ გულამოვარდნილმა მიიბრინა.

„ხვალ, ხვალ, ფრონტზე... — ბუტბუტებდა ბიჭი, — დღეს, დღეს უნდა მოგვარდეს ეს. მაგრამ როგორ, რა... ტანსაცმლის კარადა გამოალო, განჯინაში შეიჭვრიტა, ქვეშავეებისა და საბნების ჩასაწყობ ტახტსაც ახადა თავი. ოთახიდან ოთახში დადიოდა, ყველაფერს ჩხრეკდა, დახრავუნობდა. თითქოს იცოდა, რასაც ექებდა, მაგრამ ვერაფერს პოულობდა.

„ხვალ, ხვალ, ფრონტზე...“ — ბუტბუტებდა თავისთვის.

— დღეს, დღეს! — ამბობდა სხამალა.

მამის წიგნებს ხელს არ ახლებს, დედას ეწვინება, ყო-

ველ კვირა დღეს მტვერს წმენდს, სასოებითა და ალტონით ალაგებს ხელსაღა. ქვირის წიგნებიდან შეიძლება არჩევა. „რობინზონ კრუზო“... არ გამოდგება! რობინზონისა და პარსკვეის ისტორია ფრონტზე რა გასასხენებელია. „კაციზამათა შორის“... არც ეს. „პოლი და ვირჟინი“... „ტრისტანი და იზოლა“... „ტროადის ომი“... აი, ეს კი ივარგებს!

წიგნი გადმოიღო, გაზეთში გაახვია და ფანჯრის რაფაზე შეთოლო. მერე კარადის უჯრას ცეცა. გამოიღო და გაკვირებისგან შეაყვირა.

ოთახში ქეთინო შემოვიდა.

— რა გაყვირებს, დურმი?

— ოჰ, შინა სარ?

— მაღალია იცოვია, პური იცოვია.

— ფაბრიკა?

— დღეს მეორე ცვლაში ვარ.

ქეთინომ საშუალო სკოლა დაამთავრა თუ არა, ძაფსაღებ ფაბრიკაში მივიდა. ორ ცვლად მუშაობდა და დურმიას ავიწყდებოდა, რომელ დღეს რომედ ცვლაში გადაიღოდა სამუშაოდ.

— რას ექებდი მაგ უჯრაში, მესვალაივ?

— ჩაის ვერცხლის კოვჭები... დედის კოვჭები... ნამწითებს რომ ეძახით. ექვსი ცალი იყო და ახლა ერთიდა...

— ბიჭმა გამოიმცვლად შესვლა ქეთინო! — სად აწყვია, ხომ არ იცი?

ქეთინომ ლოყაზე აკოცა.

— ყველაფერი გინდა იცოდ?

— სად გაქრა?

— ჯერ პატარა ხარ და დიდი მესვალაი რომ გასდები, ყველაფერს გარგებ და მიხვდები.





—მინც? — ჯიუტობდა ბიჭი.

—საშვიდნოემბროდ დედამ რეზინის ჩექმები რომ მოგიტანა? ერთი ტომარა ჰადის ფევილი რომ მომიმარაგა ზამთრისათვის? პალტო რომ მიყიდა?..

ბიჭს სხა არ ამოუღია.

—რად გინდოდა ის კოვზები?

— ხვალ...

— ისევ „ხვალ“?

—დამაცადე. ხვალ ფრონტზე ამანათებს ვგზავნით სკოლიდან და...

—ქო? სკოლიდანაც?

—ვიფიქრე, ბვერი ვიფიქრე, „ტროადის ომი“ კი გადავდე, მაგრამ მეცვლტავა. პოდა, კოვზები გამასხენდა.

—ჩაის კოვზები ფრონტზე რამე გამოადგებათ? მეომრები ალუმინის დიდი კოვზებით ხვრებენ ბორსს, ჩაის კი, ლბათ, პირდაპირ მათარებრიდან სვამენ.

—სხვა ვერაფერი მოგიფიქრე? — მხრები აჩვენა დურმამ.

—დამშვიდდი, ახლა ფაბრიკაში მეჩქარება და ხვალ მოვავგაროთ ეგ საქმე, — უთხრა ქეთინო და წვივდა.

„ხვალ, ხვალ! დამიწყო ახლა ამან მეხვალისა. ხვალ გვიან იქნება! დღეს! დღეს!“ — ბოლო სიტყვები თითქმის წამოიფიცრა ბიჭმა და თავლი კედელზე დაკიდებულ ბაბუასეულ ხანჯალს დაადგა.

სკამი მიიდგა და ხანჯალს სწვდა.

იქვე, ხანჯალთან, ბაბუას სურათი ეკიდა. მოხუცს უღვაშებში ეღინებოდა, თითქმის ეუბნებოდა: „წაიდე, ბაბუა, ახლა ელით იყოს, ჩვენს ბიჭებს მტრის მკერდის გასაპოხად გამოადგებათ. თურქეთის ომში მაქვს გამოცდილი, სუფთა ფოლადიაო.“

ბიჭმა ხანჯალს ხელი უშვა: „ბოლოსთვის მოვიტოვებ, მანამდე იქნებ სხვა რამე მოვიფიქროო.“

ერთსანს კიდევ იბორიალა ოთახებში. ტანსაცმლის კარდის უჯრებში შინანსისუვ შალის თეთრ წინდებს წააწვდა.

ერთი წყვილი ამოიღო.

„ეს ჩემია, სულ ჩაუცემლია, — ცალი წინდა ხვალზე წამოიყვია. — უპ, როგორი სქელი და თბილია! — მაგრამ მყისვე მოიწინა: — რად გინდა მერე, ჩემი წინდები რომელ უჯრისკაცს მოერგება!“

უკანვე ჩააწყო და მეორე წყვილი ამოიღო.

„ეს დედისაა, შედარებით სრული და ყველადალია!“

შეთავალიერა და დედის წინდებში უკანვე ჩააბრუნა; დიდი ხნის ნახმარი და ათასჯის დაქმსილი იყო.

დაიღონდა.

„არადა, ყველაზე კარგი საწუპარი წინდები იქნება. ზამთარი მოდის და... წინდები, წინდები... ნატალია ბუბია... ნატალია ბუბიას ახლა მოქსოვილი ექნება, ერთი წყვილი კი არა — რამდენიმე!“

დურმის ბუბია და ბაბუა (დედის მხრიდან) სოფელ გულაშიმ ცხოვრობდნენ. შინ რძლები და შვილიშვილები ჰყავდათ. მათი ორი ვაჟი ფრონტზე იყო წასული.

„წინდები, წინდები! — დურმამ კედლის საათს ახედა.

—სამის ნახევარია. ტყიბულის ავტობუსი სამზე გადის. სწდა მივუსწრო! — საწოლზე მივდგებულ კურტაკს ეცა, უწარფად ჩაიცივა, თავზე კები ჩამოეფხანდა და სახლიდან

გავარდა. — ბუბიას ჩურჩხელებიც ექნება, ქლივის ჩირიც“...

ბიჭი ჭიშკრისკენ გარბოდა.

ჭიშკართან არ იყო მიხსული, შუბლზე იტყია ხელი. „ფული, სამგზავრო ფული!“

ქუთისიდან გელათამდე ავტობუსით მგზავრობა ორი მანეთი ღირს, იქით-აქეთ ოთხი მანეთია საჭირო. დურმიას კი ოთხი კაიკიც არ უჭყავის ჯიბეში.

„გაფუჭდა საქმე!“ — გუნება აემღვრა ბიჭს.

—საით გავიწვივა, მეხვალა?! — მოესმა ამ დროს.

ბიჭი შემობრუნდა და ღლებს მომდგარი კარის მეზობელი, კესარია ბიგლავა დაინახა.

—სოფელში! — ხელი გაიქინა დურმიამ.

—ხომ არ გავიციდი, ბიჭო, რანაირი წუნკალი დღეა!

—მე ვიცი ჩემი საქმე! — ჩაიბუზღუნა ბიჭმა და უცებ: —სათხოვარი მაქვს ერთი...

—სათხოვარი? — გაიკვირა ქალმა.

—სამგზავრო ფული არა მაქვს და... ოთხ მანეთს ხომ ვერ მასსესებ?... ხვალ დავიბრუნებ, კესარია ბიგლავა.

—ხვალ, ხომ? — გამჭირდავად ჩაიცივნა ქალმა.

—ჰო, ხვალ.

—შენ არ იყავი, ფანჯრის მინა რომ ჩამომსხვრიე ბუროთი და მოვიღე კვირა მიძახე, ხვალ ჩავსვამ, ხვალ? ვიცი მე შენი მეხვალა თავის ამბავი!

დურმიამ ქალს ზურგი შეუქაჩა და ჭიშკარი გამოაღო.

—სად გარბისარ, ბიჭო?!

—გითხარი და ის იყო! — უკანმოზურუნებლად თქვა ბიჭმა.

—ერთი ამას უყურეთ, რანაირი გულისმოსვლა სცოდნია? ფეხი არ მოიცვალა, შე მეხვალავა, ახლავა გამოგიტან ფულს! — ქალი ჩქარი ნაბიჯით სახლისკენ გაემართა.

დურმიამ ჭიშკარი გაიჯახუნა და ქუჩას აჩქარებული ნაბიჯით გაუყვია.

ქეას გაუმთქამ და მანინ ვიშოვი ფულს! — ჩურჩხელებდა ბიჭი. — შენს ჯინაზე ვიშოვი. ვადამაყოლა ერთ მინას! მეხვალავა, ხომ? ვნახოთ, თუ ვერ ვიშოვი ოთხ მანეთს!

მართლა გაწვიმდა. გაწუწული ბიჭი ქუჩის პირას პატარა სასურსათო მაღაზროში შევარდა. სველი ქუდი მონახდა და დასლს მხრებზეწურული მიუახლოვდა.

ღიბიანი გამყიდველი მოხუც ქალს მაცარონს უწონდა. იქვე პატარა ბიჭი იდგა ჩანთით ხელში. სხვა არავინ იყო მოსვალაში.

გამყიდველს სასწორისათვის თვალი არ მიუშორებია, ისე შეეხმინა შემოსულს:

—დურმია ბიჭო, რამ მოგიყვანა ამ წვიმამში, სახლიდან სომ არ გამოგავლეს?

—არა, ისე გამოვედი. — აძრწოთ უპასუხა ბიჭმა.

ქალი წვივდა. პატარა ბიჭმა ზური და მარგარიტი იყიდა და იმანაც გაიხსურა კარი.

—რას გვიბრძანებთ, ბატონო დურმიშხან?! — გამყო-



დევლა ხელი მკერდზე მიიღო თავაზიანად. — მზადა ვართ, გემსასურთ!

— კაპიტო ბიძია, დავივიწყოთ, თუ შენთვის რამე მიწყენინებია.

— დავივიწყოთ?

— დავივიწყე და მბაბტიე!

— რანირად დავივიწყო! შენ არ იყავი, გირების ჯამ-ქვეშ მადვალაკურად კალის ნაჭერი რომ დამიმავრე?

— მბაბტიე, კაპიტო ბიძია!

— ერთი თვის მერე ის კალა რომ ავწონე, ორასი გრამი გამოვიდა!

— არ იქნებოდა მადვენი!

— გეუბნები, ავწონე-თქვა... იცი, რამხელა ზარალი მომივიდა? დღესაც ვერ მომიხელებია.

— დავივიწყე, კაპიტო ბიძია! რომ გავიზრდები და დიდი კაცი ვავზრდები...

— თუ რაიმე ახალ ოინს არ მიწყობ, პირდაპირ მითხარო, რა გინდა?

— ფული უნდა მასესსო! — ჩურჩულით თქვა ბიჭმა.

— რაო, რაო? გაიმეორე! თვალისა არ იყოს, ცოტა ფურსად დამაკლდა ამ ბოლო დროს!

— ფული მასესსე! — გაიმეორა ბიჭმა.

— ფულიო, კაცო?

— ბევრი კი არა, ოთხი მანეთი.

— არც მტი და არც ნაკლები, ოთხი მანეთი, ხომ?

— უარს ნუ მეტყვი, კაპიტო ბიძია, აუცილებლად მჭირდება, ხვალ დავიბრუნებ, ჩემი ხელით მოგართმევი! — შეეშუღარა ბიჭი.

— ხვალ, ხომ?

— აუცილებლად ხვალ!

— იცი მე შენი მეხვალა თავის ამბავი, მაგრამ შენ თუ იცი, ბიძიკო, დღეს, ათასცხრას ორმოცდარი წლის ოცდარვა ნომბერს, საღამოს შვიდ საათზე, ნომერ ექვსი სასურსათო მაღაზიის გამგე-გამყიდველმა კაპიტონ ხერხაძემ ნავაჭრი ფული უკლებლად რომ უნდა ჩაბაბროს?

— იცი! — თავი დაუქნია დურმიამ.

— სცოდნია! — ჩაივინა კაპიტონმა, — მაგრამ ის არ იცი, ამხანაგო დურმიშან, ოთხი მანეთი კი არა, ოთხი აბაზი რომ დააკლდეს, უკუღმა წავა ჩემი საქმე! ჰოდა, მეტე შენ არჩენ ჩემს ცოლ-შვილს?

ბიჭი ცივად შემობრუნდა და მაღაზიიდან გამოვიდა.

— ყოველი შემთხვევისათვის, შვიდ საათზე გამოიარე, მეხვალა! — მიაძანა კაპიტონმა და გირებიანი ჯამი მაღლა ასწია, კიდევ ხომ არაფერი მომიწყობ ამ ეშმაკის ფესმაო...

ქუჩის ბოლოს უბნის ფოსტალიონი შემოეყარა ტირილამდე მისულ ბიჭს.

— გამარჯობა, დურმი-ბიჭო!

— გაგიმარჯოს, ბაბუა კოსტა! — გაუნარდა ბიჭს.

— საით ვარბისარ ამ თავსხმა წვიმაში? — ჰკითხა ფოსტალიონმა, ლაბადა შეისინა და მარჯვენა კალთა ბიჭს შემოასურა.

— ავტოსადგურში!

— რა გინდა, ბიჭო, ავტოსადგურში?



იყო, ვერც წინას დღეებზედა გულს და ვერც სხვა საქმეს, „რა გენა ასლა მე?“ — უფრო თავისთავს ჰკითხა. დურმია, მაგრამ, ეტყობა, სხამაღლა გამოუვიდა და იქვე მდგარი ყაბალასმხვეული ჯმუხი კაცი ნაწნობივით გამოუბასუნა:

— რას იზამ, შეილო, გაგვასწრო!
 — თქვენც გელათში მიდიოდით? — ჰკითხა ბიჭმა რაღაც იმედით.
 — არა, ტყიბულში!
 — მეტი ავტობუსი აღარ გავა ტყიბულის მიმართულე-ბით? — ყოველი შემთხვევისთვის ჰკითხა ბიჭმა ყაბალასინას.
 — ბოლო იყო.
 — რა მეშველება! — ამოიხსრა ბიჭმა.
 — უსამეველო ჩვენს მტერს! რამე გამოჩნდება...

7

— ორი კაცი — გააფრთხილა მძღოლმა შემოსულნი ხალხი. — მესამეს კაბინაში ვერ ჩავსვამ.

დურმიაც მიტეხანას მანქანასთან მისეულ ხალხს, მაგრამ რას გასდებოდა.

ხალხი ერთმანეთს აწვევებოდა, ყაყანებდა, ყველა ცდილობდა, პირველი ჩამჯდარიყო კაბინაში. ბოლოს ერთმა ზორბა კაცმა იმარჯუბა, კაბინის კარი გამოაღო, ზამბარებაშირილ სავარძელზე მოკალათდა და მომდევნოს ხელი გაუწოდა, ასვლაში დაეხმარა.

მოულოდნელად კაბინიდან მძღოლი გადმოვიდა. მძღოლმა მანქანას წინიდან შემოუარა, სავარძელზე მოკალათებული მგზავრების მიმართ კარი გამოაღო და ყრუ სმით თითქმის უბრძანა მათ:

— აბა, პატრიცემულებო, მანქანიდან გადმობრძანდით!
 — რაშია საქმე? — ყაბალასის ყური მხარზე გადამიდგო ჯმუხმა კაცმა.
 — არ გეგონოთ, თქვენი ჯინი მქონდეს. ყველანი მისწრებაზე ხართ და ვერცერთმა ვერ შეამჩნიეთ, პირველ რიგში ვის ეკუთვნის მანქანაში ჩაჯდომა!
 დურმიას იმედი მიეცა, რაკი პატარა ვარ, მე სომ არ მგულისხმობსო.

მძღოლი სხვა მხარეს მიბრუნდა.
 — თქვენ ტყიბულში მიბრძანდებით, ქალბატონო? — ჰკითხა შორისაღლოს მდგარ შავოსან ხანშიშესულ ქალს, რომელსაც გვერდით 10-12 წლის გოგონა ამოსდგომოდა.

— დიას! — მოკრძალებით უპასუხა ქალმა.
 — ტყიბულში, ძია! — წამოიყვირა გახარებულმა გოგონამ.
 — მობრძანდით! — მიიპატჷკა მძღოლმა.
 ზორბა მამაკაცი და ყაბალასინაი ზონიით გადმოვიდნენ მანქანიდან.

— მობრძანდით, ქალბატონო! — თავაზიანად მიმართა ზორბა კაცმა და ხელი გაუწოდა, ასვლაში შეგვეველე-ბიო.

ხალხი დაიშალა.
 მანქანასთან მძღოლი და დურმია დარჩნენ მხოლოდ.
 — წამოყვანე, ძია! — მძღოლისკენ ნაბიჯი გადადგა დურმიამ.
 — სად, ბიჭო?

— ბუბიასთან და ბაბუსთან უნდა ჩავიდე გელათში.
 — როგორ გაახარებ ორთავს! მაგრამ სხვა დრო ვერ აირჩიე, შე კაცოცო? აი, სხვად, გამოიდარებს და ვინ დაგიშლის!

— სვალ არა! ისეთი საქმეა, ვერ გადავდებ, აუცილებლად დღეს უნდა გაკეთდეს!

— ეუპ, რაკი ტყუილად გეძახიან შეხვალის! — ჩაიცინა მოხუცმა.

— კოსტა ბაბუა, სამგზავრო ფული არა მაქვს! — გამოუტყდა მოხუცს ბიჭი.

— ეუპ, ეგ რა მოგსვლია, კაცო!

— სულ ოთხი მანეთი მჭირდება...

— ჩემი თავი გენაცვალოს, ოთხი მანეთი რას მიქვიან, თუ გინდა, მეტსაც მოგვცემ. — თქვა მოხუცმა და გატრეცილი პიჯაკის გულჯიბიდან სამი მანეთიანი ანაბჭერი-ნა; მერე გარეჯიბში სურდა ფული მოიხსრიკა, ხუთი ცალი ანაზიანი დაუმატა და ბიჭს ხელში ჩაუღო.

— გმადლო, ბაბუა კოსტა, — ჩაიღრღღლა ბიჭმა, — სვალ რომ ჩამოვიდლი, დაგასვდრებ!

— სვალ არ იქნება — ზეგ იყოს, მაგი გედარდება? — გაიღიმა მოხუცმა და ბეჭზე ხელი დაჰკრა. — აბა, გაქუსლე, ავტობუსზე არ დაგავინადეს!

6

ავტოსადგურში მიიბრინა და ტყიბულისკენ მიმავალი ავტობუსი იკითხა. გულს შემოეყარა, ათი წუთით გაგასწროო, რომ უთხრეს.

ავტოსადგურის თაქვემ აბუხული იდგა და უაზროდ ათვლიერებდა მოყაყანე ხალხს. სოფელში გამგზავრების ყოველგვარი იმედი გააღწურული ჰქონდა, მაგრამ მინ მინი არ მიუჭებრებოდა. ისეთ მოფაშულ ხასიათზე

კაცი რომ ცოცხლობს,
ეს არ ნიშნავს, რომ ცხოვრობს იგი,
კაცი რომ შრომობს,
ეს არ ნიშნავს, რომ იღვწის იგი,
კაცი რომ ომობს,
ეს არ ნიშნავს — გმირია იგი.
თუ კაცს აქვს ნიჭი სიყვარულის
და ფიქრი იცის,
თუ შრომობს აზრით, იბრძვის გრძნობით, —
სულ მამულისთვის! —
მხოლოდ მაშინ არს ის მოღვაწე,
გმირი მამაცი,
და მაშინ ეთქმის მის სიცოცხლეს
ცხოვრება კაცის!

შენი ცოდია

აბიბინებულ ზურმუხტ-გორაზე
მთვარე მელნისფერ ღრუბლებს მწყემსავდა,
ცივი ნათელი სწვავდა მონასტერს,
თითქოსდა შეზრდილს კლდოვან
მწვერვალთან.

გუმბათს, ამაყად ყელმოღერებულს,
ალყაშემორტყმულს ვარსკვლავთ
ლაშქარით,
ბევრჯერ განწირულს, მაგრამ ვერ-ძლეულს,
ნაჭრილობევი აჩნდა მრავალი.

- გელათამდე.
- კაბინაში ოთხი კაცის დაჯდომა არ შეიძლება!
- იქ დაჯდები! — ბიჭმა ცერათითი ტომრებისკენ გაიშვირა.
- აუჰ! — იუარა მძლოლმა. — თავი სომ არ მოგძულეზია?! გეტყობა, ტყიბულის გზას არ იცნობ.



მღელვარე აღვებს, როგორც მონაზვნებს,
ტოტები ლოცვად ზღაღმართათ,
მიმოქეარვათ მრუშმე ოვალებს
მონასტრის სადა პერანგის კალთა.

შორით მოხეტქილ მენამულ ზვირთებს
მტკვარი ამღვრეულ ფიქრებს ასლიდა,
შეზრდილ ჭრილობებს უხსნიდა პირებს
ჩუქურთმის კვალი, ძველი და წმინდა...

ამენთო გული მთრთოლვარე განცდით
და სინანულის კვამლში გამხვია.
„შენი ვალია...“ — მეძახდა მტკვარი,
ალვა მეძახდა — „შენი ვალია...“



- ვიცნობ.
- მეერ, იმ ოღროჩოღროებზე, ერთიც ვნახოთ, მანქანამ ტომრებიანად სრამში გადაგისროლოს, ვინ აგებს პასუს?
- გეგეწები, აუცილებელი საქმე მაქვს!
- ვერა! — კატეგორიულად მოუჭრა მძლოლმა. მანქანა უსიამოდ ახისნიდა და ბოლოს, როგორც იქნა, ამუშავდა.
- ღურმიამ დაძრულ მანქანას თვალი მიაყოლა, გული აუჩქროლდა, მუხლები აუცანცანდა.
- დამფრთხალი კვიცივით მიმოიხედა. ხალხს ავტოსადგურის ღარბაზისათვის შეეფარებია თავი და არავის აინტერესებდა, მარტოღმარტო რად იდგა ბიჭი ქუჩაში.
- ღურმიამ ერთხელ კიდევ გახვდა მანქანას, მეერ ადგილს მოსწყდა და ქურტიკივით დაედევნა. წამოწეია, ქიშხელეებით მისწყდა, ჩატეხილ ფიცარზე ფეხი მოიკიდა, მთელი ტანით აიშართა, ისკუბა და ტომრებს ჩაეხუტა.
- ჰო, საქმე აუცილებლად დღეს უნდა გაეკეთებინა, ხვალ გვიან იქნებოდა.

თორე კვიზოცდი

პირველი დღე

414-ე ქართული მსროლელი დივიზია, შემდეგში ანაბის სახელობის წითელდროშოვანი დივიზია რომ ეწოდა, 1942 წლის ნოემბერში ჩეჩენეთ-ჩეუხეთში იღვა. ჩვენს ბატონებს ნაბრძანებო ჰქონდა. მონაწილეობა მიიღო მტრის გამაგრებულ თავდაცვითი ზღუდეების განადგურებაში. მინარე თერგის მარჯვენა სანაპიროზე მტერს ეპყრა სტანიცა და რკინიგზის საკვანძო სადგური იშჩორსკია.

თერგის ხეობას შეზინდების ეამს მიეუახლოვდით. ბრძოლის ველიდან ჭერ კიდევ ისმოდა ყუმბარების გრგვინა-გრაილი.

იმ დამეს ჯარისკაცებმა დიდი სამუშაო შესარქულეს: მოამზადეს სანგრები ჰაუბიციებისათვის, თხრილი — ყუმბარების შესანახად და თავშესაფარი — ჯარისკაცებისათვის.

ჩენი საცესლე პოზიციის ადგილსამყოფელი იყო მზესუმზირის ყანა სრულყოფილი შეხამების მიზნით, საიმედოდ დავფარეთ ქვემეხები და სანგრები მზესუმზირებით და მხოლოდ ამის შემდეგ მოვაწყვეთ ბატარეის ფორტი. ახლა კი უფლება მქონდა მემატაკა ბატარეის მეთაურის, კაპიტან სიმონ ჰაუსშვილისათვის, რომ საცესლე პოზიცია მზად იყო საბრძოლო ამოცანის შესასრულებლად.

გათინდა ბურუსი იწვა, ოდნავ ეჩრეწავდა და უცებ, მტერთან მისალოდნელი შებრძოლების მოლოდინში, უცნაური ამბის მოწმენი ვაგებდით: ეთერში დაირხა „სუსლიკოს“ ტაბილი მელოდიები! ამან დიდად გაგვიკვირვა, ტანში ყველას ეურანტებმა დაგვიარა. გვიკვირდა: მოჩვენება იყო თუ სინამდვილე?

ის იყო. მშობლიური ჰანგები შეწყდა, რომ მტრის ბანაკიდან ახლა დიქტორის „ბრძნული“ დარავება მოგვესმა. იგი მოგვიწოდებდა, გა-



დავესლ უავით თერგადამა მათ მხარეზე, და თურმე, იცით, რისთვის? თეთრი პურისა და გემრიელი კერძისათვის! ჩვენ გადაწყვიტეთ „მადლობა“ გვეთქვა „მომატივე მასპინძლებისათვის“; დივიზიის ქვეანდაცვლებმა ყველა სახის იარაღიდან ცეცხლის სეტყვა შეაგებეს ფაშისტი დამპყრობლების ბინძურ პროპაგანდას. ჩვენი ბატარეაც, სხეებთან ერთად, ბანს აძლევდა ამ საბრძოლო ორკესტრს. ხოლო როცა სროლა შეწყდა, ბატარეის მეთაურმა მადლობა გამოუცხადა საცესლე ოცეულების შემადგენლობას ზუსტი სროლისათვის, რამაც მტრის ცოცხალ ძალასა და საბრძოლო ტექნიკას მძიმე ზარალი მიიყენა.

პიონერი ვალერი სიზა

ყუბანში, აზოვის ზღვის პირას, მდებარეობს დიდი სტანიცა პრიმორსკო-ახტარსკია. ადგილობრივი მოახალგაშე მას შემოკლებით ახტარას უწოდებენ. 1943 წლის მარტში ახტარაში და მის შემოგარენში 414-ე ქართული მსროლელი დივიზიის ნაწილები დაბანაკდა უაუქველუ გერმანელები ამ დროს ტავანროგში დათავუშობდნენ.

ბატარეის საცესლე პოზიციად მიწოდარი ავირჩიეთ, რომელიც სტანიცის გარეუბნიდან ორასიოდ მეტრით იყო დაშორებული. პოზიცია კარგად შეეხამეთ, რათა მტრის დაზვერვას არ აღმოვეჩინეთ.

1943 წლის 25 აპრილის მზიანი და წყნარი დღე იყო. ჩვენი მეტროლები ჩვეულებრივად საქმიანობდნენ განაწესის მიხედვით. მოულოდნელად თვითმფრინავების შორეული გაუგუნის ხმა შემოგვესმა და მაღლ რამდენიმე ესკადრილია გამოჩნდა. „თავშესაფრებში“ — გაიცა ბრძანება. ფაშისტი სვავები დაბლა დაეშვნენ, თითქმის სახლებს სახურავებამდე. გაისმა საშინელი გრაილის ხმა, დატრიალდა ჯოჯოხეთი. სტანიცა იწვოდა, შავი კვამლის სვეტებმა დაფარეს მზე. ამ დღის თვითმფრინავებიდან ჩამოყრილი ბომბებისა და ტყვიამფრქვევების ცეცხლი დაიდუნა სტანიცის მოსახლეობის ნაწილი, უმთავრესად, მოზულეები; ქალები და ბავშვები. ზარალი კიდევ უფრო დიდი იქნებოდა, მაგრამ ამ მიმე წუთებში ჩვენ, 414-ე ქართული მსროლელი დივიზიის ქვეანდაცვლებმა, გრივალისეხური ცეცხლი გაუვსენით მტრის ავიაციას ყუველგვარი სახის იარაღიდან. მტრის თვითმფრინავები აჩქარდნენ, ბომბები უთავბოლოდ ჩამოყარეს და მიიშლნენ.

სტანიცასთან ვანლაგებული ჩვენი სამხედრო ნაწილის მეტროლებს ნაცინობობა და კეთილმეზობლური დამოკიდებულება მქონდათ ბერ-



ოჯახთან. ჩვენთან არცთუ ისე იშვიათად მოდიოდნენ ბავშვები. ერთი მთვანე იყო პიონერი ვალერი ციბა, ასე 12-13 წლისა. მას ჩვენი მებრძოლებისათვის ზოგჯერ თამბაქო ან მესუსშირა მოჰქონდა სასუქრად. კეთილი და მზიარული ბიჭი იყო პატარა კახაი ვალერი და განსაკუთრებით უყვარდათ ის ჩვენი მებრძოლებს. ფიზიკურად სუსტს, თავის ასაკთან შედარებით მალას, შვიი თვალწარბი და შავი თმა აშვენებდა. ძალიან ცნობისმოყვარე იყო, აინტერესებდა ჩვენი პაუბლიკების ძალა, სროლის წესი, ცეცხლის სიშორე და სხვ.

ახტარის ტრაგედიის შემდეგ სამი დღე გავიდა. ამ ხნის მანძილზე ვალერი ჩვენი ნაწილის ტერიტორიაზე აღარ გამოჩენილა, რამაც ყველა შეგვაშოთა, მაგრამ მალე ველს მოგვეშვა — რაღაც განგებით ვალერი თავისი ოჯახით გადაჩვენდა იმ ჯოჯოხეთს.

ერთ დღეს, როცა ჩვენი საცეცხლე პოზიცია ჩვეულებრივი განაწესით ცხოვრობდა, დავინახეთ ვალერი, რომელიც ჩვენცენ მორბოდა. მას უკან გააგებული ყვიფით მოსდევდა მისი პატარა ძალი მონიკა. ვალერიმ შეკითხვა არ გვაცალა და სხაპასუხებით მოგვყარა: „ძალმა იგრძნო, რომ მტრის თვითმფრინავები გვიახლოვდებიან, მას ესმის ზმა, თავს უშველეთო!“ ნათქვამის განალიზების დრო არ იყო, ჩვენც თითქოს ვაღმოგვედო მისი მღვდლარება, თითქოს ჩვენი ეგრძენით განსაყვადელის მოახლოება. ყველამ თავშესაფარს მიაშურა. ჩვენც შევივარეთ ვალერი და მისი ძალი მონიკაც, რომელიც მიწურშიც განაგრძობდა მოუსვენარ ყვიფას.

მართლაც, სამდენიმე წუთი თუ იქნებოდა გასული, რომ თვითმფრინავების გუგუნე შემოგვესმა. მალე მტრის თვითმფრინავების ესკადრილიამ თავზე გადავიდრინა, მაგრამ ვერ შეგინუნა, რადგან კარგად ვიცავით შეხამებულნი გარემოსთან. ასე გადაგვარჩინეს პიონერმა ვალერი ციბამ და მისმა ერთგულმა მეგობარმა.

გიორგი ჯაფარიძემ,
ძალია სამხედრო ომის ვეტერანი.

ბ ი ო რ ა ბ ი ნ ე რ ა ე თ ე ლ ი

ჩემი შავი პერსხალე

სხეულხიას ფერფლით აღდგენილი!

უშენოდ რა ფასი აქვს
სამვეარდნოს მალღ სერს,
შენმა ხმებმა ეს მთები
სხვა სიყვინღლით აავსეს.
შენმა ფრთებმა ეს მთები
კიდვე მალღა ასწიეს,
უშენოდ რა ფასი აქვს
ქორეთსა და პასიეთს.
უშენოდ რა ფასი აქვს
ჩემი ხახლის აივანს,
ჩემო შავო შეცხხალე,
ვინც ქვას გესერის,
ვაი მას!

მარტომლის მუორა ტაპარი

ეს მუორე
ტაპარია მარტომლის,
მის უჯოში
კედელია ქვა-ტიხის,
სამი ათას
შინმოუსხეღვლს დასტირის.
გამოცდის დრო
რადგან მკაცრზე მკაცრია,
კედელს ხია
უყვადვეხად ხცრია,
მზე კიონულობს
ყოველ დღითი ამ ხიას,
— აქ ვარ — ისმის, —
ცა ექოთი ხახვცა.
ქვავს უდგდრო
საფლავის ქვებს ეს ქვები,
ტაპარში კი
მუომუნ ვმირაა ფრხვებმა...
ეს მუორე
ტაპარია მარტომლის,
აქ, შეწირულ შევიღვბს
დღეა დასტირის...
ეს ნანდქერი
შეკრებელი ცრუმლია,
ათახოთით
ქალს რომ დაუძეცვია,
დღვის ცრუმლი
ცემულზე უფრო ცხელია.
ო, ეს ცეცხლი
ვმირაა სულის გენია,
რომ ვიხვიხვებს
ჩაუქრობელ გენიად,

ქვის დღეები
ინახუნე შე ხიას,
მკვდარი ქვები
უყვადვეხით ხახვცა,
ქვის სვეტი დგას —
ხვეტიცხოვლის მსგავსია,
კოლხეთის ცა
უფრო მალღა ასწია!
ეს ძახილის ნიშანია,
ამ ნიშნით
მტრს აფრინიღვებს,
რადგან მისხს
არ იშლის.

ეს კედელი
დამჭვრია ქარიშხლის,
აქ ცდი ტირის,
ღრუბლის თმას
რომ გაიშლის, —
ეს ბუნების
დღეა ტირის თავის შვილს,
აქ რომ იწყებს
წითლად ღვივილს
შახისში,
ნეტვე ვისი
სული ყივის ყვავიღში?

თუ დავიხიარე
ქვეულად მათი სახელით,
მათი საქმის
ქველად გარდისახებოთი
ომი არა!
ნერევა არა!
ვაშენოთ!
ჩვენი სული
ვევლას უნდა ვანუნოთ,
ამ ტაპრებით
მტერი რომ შევაწუნოთ!
ჯერ პატარა
გვრცტემო და შაშვებო,
თქვენ მშევიღობა,
თქვენ მშევიღობა,
ბავშვებო!
არახოლდეს მოყვდომოღეთ
მშენუნელი,
არ ქპონოღეთ
ეს დღიღი ქველგობი
თქვენს მომავალს
შინაში საქმუნელი.

ონკრობა

ნანა კანდელაკი

მხატვარი
დავით ფალავა

მოთხრობა



ბავშვობაში ზაფხულის არაღეგებს მუდამ მშობლიურ სოფელში — კავთისხევში ვატარებდი. ვენმარებოდი უფროსებს — წყაროს წყლის მოტანაში, ხილის დაკრეფაში. ვათვალისწინებდი ისტორიულ ადგილებს — ქვათახევის სამონასტრო ანსამბლს, მაღალანთ კოშკს. წარმოადგენდას ვმართავდით მიტოვებულ ბოსტანს.

მაინც ბავშვებს ყველაზე მეტად შაბათ-კვირის საღამოები გვიყვარდა. შაბათობით ღობინ იმართებოდა ხოლმე, კვირაობით კი ქიდაობა, და სადაც ყველა — ჩვენც იქ ვიყავით.

შებინდებოდა თუ არა, ახალგაზრდები ტატიბი აივლიდნენ და ჩაივლიდნენ შარას. მერე თავს მოიყრიდნენ პოხრო პაპიაშვილის კარის წინ. გამოიტანდა პოხროს დედა დიარას, შემოჰყარავდა ისტატურად, მეგარმონე გარმონს გაწელავდა და, ვიყვარდეს, ღობინც იმართებოდა.

ერთხელაც შეკრებილებთან არც პოხრო გამოვიდა, არც სიდა, და რაკი მოთათვე არავინ იყო, აშკარად იშლეოდა გართობა. ხან ვინ გასახსნა პოხროს, ხან ვინ, მაგრამ არ გამოვიდა პოხრო. მერე სიდამ გამოიხედა ფანჯარაში და თქვა:

— დაღლილია ბიჭი, სათბობი იყო სამი დღე, რა ელხინება, ისვენებს!

პოხრო პაპიაშვილი ჩემს ბავშვობაში ქართული ჰიდაობის სახელგანთქმული ფალავანი იყო, პატივისცემითა და სიყვარულით სარგებლობდა მთელ საქართველოში და მით უფრო — მშობლიურ სოფელში. ამიტომაც მისი სიტყვა ბეჭედი იყო. პოდა, ახლა დედამისმა ასე ვადაპირით უთარი რომ თქვა ღობინზე, ახალგაზრდები ყურებჩამოყრილები

გაცალნენ პოხროს ეზოს და ხალხმა ნელ-ნელა სახლებს მიაშურა.

მეც შინ გავიქეცი. დედა სარეცხს აუთოვდა, მეზობლის ქალი ენმარებოდა და ტბილადაც მასლაათობდნენ. უცებ თვალი დამჩრა გაქათებულ ზეწარზე. ერთმა ფიქრმა გამოიყვანა თავი. რატომაც დაწამუნებული ვიყავი, რომ ჩემს ხუმრობაზე აუცილებლად გამოვიდოდა კარში პოხრო და მერე ღობინის გუნებაზეც დადგებოდა. შემოვავლე შეუმჩვენვლად ზეწარს ხელი, გადავირბინე შარა, შემოვუარე ზემო ბაღებს და ჩვენს ბაღში მივედი. ის სწორედ შარას ემიყენებოდა და ცალი ღობით პოხროს კარ-მიღამოს ეგეზობებოდა.

ბაღის წინა მხარეს, შუა ადგილზე ვებებოდა ზეინი იღვა. ავფერტი იმ ზეინზე, მოვიხსნი ზეწარს და ხელეზის ქნედა დავიწყე, თითქოს მივფრინავდი უსასრულობაში. უმოთვარო ღამე იღვა. ვიციოდ, საქმარისი იყო, ვინმეს დავენახე, ერთი ალიაქოთი ატყებოდა და დახმარებ პოხროც გამოიხედავდა.

მართლაც, სულ მალე ვილაყამ დამინახა, უფრო სწორად — მიაქცია ყურადღება პაერში გამოიკიდულ მოჩვენებას, თეთრებში გახვეულს, და ყვირილი ატეხა:

— შეხედეთ, შეხედეთ, ხალხო, რალაც გამოიკიდებოდა პაერში...!

— თუ, რა უნდა იყოს ნეტავი?!

— გენაცვით, ფრთებს როგორ იქნეს...

— თეთრი არწივი ხომ არ არის? პაი, პაი, შეუძახეთ, ხალხო, წვიოდეს!

ერთი ვაი-ვიში და მითქამა-მოთქამა გაისმა.

— არ დაფრთხოთ, ანგლოზი გვეწვა, ურიგო არაფერი წამოგვდეთ, არ გავიწყურეს, მაგის მაღლს ვენაცვალე! — გააჩუმა ყველანი სიდამ.

ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, ასე რომ ვაპრა ჩემმა ხუმრობამ და ახლა გულის ფანქვალით პოხროს გამოჩენასაც ველოდებოდი.

— აბა, ანგლოზი? რაებს ლაპარაკობ, დედაჩემო, რას ქადაგობ, ქალო? — გაუჭყარდა აივანზე გამოსული პოხრო სიდას.

— ქა, თვალეზში ვერ იხედები, ბიჭო? შეხედე, როგორ გვეთამაშება, როგორ გვლოცავს. ანგლოზია, კი, ფრთებს შეხედე, ფრთებს...

— თუ, როგორ აფრიალებს და რომ არც იღლება! — ელაყამ მხარი აუბა სიდას.

— იქნება ტაშიც შემოვკრათ, პა? — გახარდა პოხრო. — გამოვიტან ახლა ჩემს ორულუხანასა და რომ ვებთქვა, ენახავ მერე, რაც არის!

— დედა ნუ მოგიკვდება, ეგ არ ჩაიდინო, ბიჭო, არ გამოიტანო თოფი, დაგვეყვედოს, გავუბედურებოთ!.. — წივილი მორთო სიდამ, მაგრამ ზოგმა წააქეხა პოხრო — მიდი, ბეთქე თოფი, სიგის უყურეთოთ.

მივხვდით, ჩემმა ხუმრობამ ცუდი ხასიათი მიიღო. პოხრო ის კაცი არ იყო, სიტყვა ვადაეთქვა. ვიხელთ დავინ, უცებ მოვიშორე ზეწარს და ღობინს იქით მხანგეს ჩამოვკურდო, მერე ზეწარს სწრაფად შევმალე თივაში, სიხარულით შემოვუარე ბაღებს, შარახე გამოვიედი და ხალხში შევერიე.

— სად არის, დედაჩემო, შენი ანგლოზი? გაიპარა? — ბოზოქრობდა პოხრო.

— გენაცვით, არ დააყენე და გაფ-

რინდა, გავგინაწყენდა, — ატირდა სიდა. — წყვიდა, სამოთხეს შეაფარა თავიი...

იღა ხალხი გვიანობამდე, ზოგი ჩაფიქრებული, ზოგიც სიცილით იხსენებდა, რაც ნახეს, და ბოლოს ყველა შინ გაიკრთა.

ვანშობისას ჩვენებს ვუშამე, რაც მონდა.

შშობლები ძალიან გამიჯავრდნენ, ეს რა ხუმრობაა, ააფორიაქე დიდი და პატარაო.

მეორე დღეს მამამ დაიხარა პოხრო და სიდა და ჩემი ხუმრობის საიდუმლოება გაუმხილა.

— ნათლი, მე ვანწავეულობით ვერ დავიტრაბახებ, მაგრამ მხედველობა კარგი მაქვს. ქვეყანაში ნახა ის ანგელოზი, თქვენი ბალის თავზე ფრინავდა, ჰყოთხე, ვისაც ვინდა, —

ვანწყენდა სიდა. — რას მირიგებ, რას მამშვიდებ...

— ამ ეშმაკისფეხის ონავრობა იყო-მეთქი, გამიგონე, სიდა, — სიცილს ძლიეს იკავებდა მამაჩემი.

— შენა ახლა გეცინება, ნათლი, და ერთი ფეხით რომ არ ვაესწრო ამ გოგოს, დიდი უბედურება დაღტრიალდებოდა, — თქვა პოხრომ.

— რაც იყო, იყო, ახლა კი ძალიან გთხოვთ, გააგებინოთ სიმართლე მე-ზოზობლებს, — უთხრა მათ დამშვიდობებისას ღედამ.

არ ვიცი, რა უთხრა ღედამ-შვილმა მეზობლებს, ეს კი იყო, რომ ჩვენს ბაღს, რომელიც მანამდე გაჩანაგებული იყო ბიჭებისაგან, ახლოსაც არავინ ეკარებოდა. ეტყობა, სოფელში დიდი და პატარა ცრურწმენამ შებოჭა. ამან ჩააფიქრა მამა და ერთ-ხელაც, ისევე უმთვარო ღამეს, მით-

ხრა, ყველაფერი ზუსტად უნდა გაიმეორო და სიდას გამოეღაპარაკო, რომ დაარწმუნო ისიც და სხვებიც იმ შესრ თინაზობაშიო.

წამოვისხი ისევე ზეწარი და აძვეერი ზეწინე, ავიწინე და ავიწინე ორივე ხელო ხან ზემოთ და ხან განზე-ახლაც შეუწინეველი არ დაღტრინელი-ვარ მოსიერნეთათვის და ატყვა ჩოჩქოლი, შეძახილები:

— ანგელოზი გამოჩნდა ისევე, ანგელოზი!..

— მაგას ვენაცავლე!.. — აივანზე გამოვიდა სიდა და გახარებულმა აიკლო იქაურობა: — ვილაცემ კი თქვა, ხუმრობა იყოო! მამო, ჩვენც დავიჯერეთ... სო ხედავთ, ხალხო, ნაღღია, ეგე, როგორ გვესალმება, გვლოცავს და ჩვენც მორჩილნი ვიყოთ, გავუგონოთ... შენი მადლის პირიმი, ანგელოზო!

— სიდა ძალო, ანგელოზი კი არაა-და, ნანა ვარ, ნანა... — წამოვიძახე, ზეწარი პაერში ავაფრიალე, მერე შარასკენ მოვისროლე, ზეწინიდან ჩამოვეცურდი და სიდას ეზოში ღობეზე ვადავიძვევრი. — ნანა ვარ, არც ახლა გჯერა, ძალო?

ხალხი გარინდებული იღა. მოულოდნელად არობროხდა პოხრო და სიცილი დააყარა სიდას:

— ესეც შენი ანგელოზი, ღედამ-ჩემო!

ისეთი ყიფინა და სიცილი ატყდა, ახმარადა იქაურობა.

სიდა ჭერ გაოგნებული მომჩერებოდა, მერე გადამეხვია და მაკოცა.

— შეგარჩეს, შე ახტაჯანა, ღედამ-ბრის გუწიილება, შეგარჩეს! — უცებ შინ შევიდა, დარია გამოიტანა და პოხროს უბრძანა: — აბა, გაწელოს გარმონი მეგარმონემ და დღეს პირველი ეს გოგო აცეკვეთ!

— კიდევაც რომ დაიშახურა! — ნაწნავი ჩამომქაჩა პოხრომ, ხელი გაშალა და საცეკვაოდ გამოწვია.


ძილის წინ მამამ ჩაფიქრებით მითხრა ერთი რამ, რაც სამუდამოდ დამამახსოვრდა:

— ხუმრობასაც დაფიქრება მართებს, შვილო!



წიგნის კითხვა

ხელოვნება



პატარა მუქი

(ომისკრონიული აბაჯი)

ნიმე ბეზარაშვილი

მახტარი თ. ზსიძე

„კვირად ბევრია კარგი წიგნი, მაგრამ იხილი კარგია მხოლოდ მათთვის, ვინც კითხვა იცის“, — ამბობდა დიდი რუსი პუბლიცისტი დ. პისარევი. მართლაც, ამა დაუპყრობელი, როგორ ვკითხულობთ წიგნს? ზოგი ბუნებრივ კითხვებს, ავტოკითხვებს ტურებს, ამობრუნებს სახის კენჭებს. ასეთი კითხვის დროს გვხვით მხოლოდ შინაარსი, ხვედით კი წიგნის გმირებს მოქმედება, აღვივებულობა — ვერ ხედავთ, ნაკლებად აღვივებთ ნაწარმოების შინაარსს, შთაავარს იღებთ.

წიგნი ან წიგნი, ან თანხი მიღ-მიღის წიგნით ხელში და ხმაბალი კითხვობა — იშვიათებს დევნებს ან მოთარბის ამა თუ იმ ადგილს. ასეთ კითხვას „სწრაფი კითხვა“ უწოდებენ. ის, რასაც კითხვა კითხვით დამისჯობებენ, სწრაფად ატეხს ვინცმე და — კლასიკურზე წიგნის შინაარსი კი არა, თვით გაკეთილიც, რომელიც ურბაი მიიღებს. ასეთ ბავშვულ ტიპთან ავტოკითხვის იშვიათებს.

მახტარედი, კითხვის ასეთი ჩვევები არა მარტო არასწორებია, არამედ საზიაროც არა, წარმოიქმნები: ამოკრებიან საშუალო სკოლას, ვინდობი უმაღლესი სასწავლებელში სწავლის გაგრძელება, ჩაირიცხები კიდეც, თქვენ კი ვერც არ დაუფლებდები სწორ კითხვას. სწრაფად აღქმის უნარს, რაც ესპოლიერ სპორტის სტუდენტისათვის.

მახტი, რა არის სწორი კითხვა? სწორია კითხვის ის წესი, როცა მოქმედებით საშუალო მავიჯას, დავტარებთ, გულისხმობთ, იღონებ თვალთ კითხვობის სრულდებარე „სხვაობას“ და „მოხერხების“ გაჩენის ტექსტს და მთლიანად აღვივებთ ნაწარმოების მიმდ შინაარსს, „ხედავთ“ და „განსწავთ“ მოავარი გმირებისა, ვახსებთ მათ დამბობისა და უარყოფით თვისებებს, ვამოტივით დასკვნებს და გაიგებთ, თუ რის თქმა სურდა მწერალს. ასეთ კითხვას „უარადობიანი“ კითხვას უწოდებენ და მას ბავშვობიდანვე უნდა მივითვით. სამავარი-როდ, მომავალში გაიგავდებიან სწავლა, პროფესიის უმაღლეს დონეზე დადიხებით, სისარტობა მივავრთობ ურდული ახალი წიგნის გამოჩენა, რადგან გვიკიდებთ, რომ იგი ახალ ცოდნის შემტავებს თქვენს სავითი განათლებას.

თუ გსურთ წიგნის კითხვის ნამდვილი ხელოვანი ვახსილ, უნდა ისწავლოთ სწრაფი კითხვა. „კითხვა გონებისათვის ისაა, რაც ფიზიკური ვარჯიში — სხეულისათვის“. — გვასწავლის ინგლისელი მწერალი და პედაგოგი ე. ედსონი. მხოლოდ ასეთ-ნაირად „გავარჯიშებულ“ გონებას შეუძლია ყველაფრის აღქმა-შესრულება. წიგნის ერთი და ერთი თანაშრომელი ბონ-ბარტევი იჯობებს: „როცა წიგნის კითხვის დროს ვუფურბედი, ასე მეგონა, სტრაქონ-სტრაქონ კი არ კითხულობს, გვერდებს აუკლებს-შეიქი თვალს. საოცრად სწრაფად, ღრმად და ზუსტად ითვისება და წაკითხულს, რამდენიმე წლის შემდეგ შეიხრად ამბობდა წაკითხულიდან ცალკეულ ფრაზებსა და აბსტრაქტს. იყო, როგორ მიადრეა წიგნისა სწრაფ კითხვის ასეთ შედეგს — ბავშვობიდანვე უფრადებიანი კითხვითა და გავარჯიშებულ მსდეველობით.

გასწავლეთ, რომ ყველაზე სრულყოფილი კითხვა მსდეველობითი კითხვაა, როცა სწრაფად სწავლები წაკითხულის სავითი აზრს. ავიღოთ ასეთი მაგალითი: კლასში მიმდინარეობს ისტორიის გაკვეთილი. მასწავლებელი ვახსნიოთ ახალ მასალას, თქვენ დაძაბული უხმინო და ვრანობთ, რომ მუსხე იქერი ნათვამის სავითი აზრს (და არა ცალკეულ წინადადებებს, სიტყვებს). თუ მოილოებთ, კითხვის დროსაც შეიძლება წაკითხულის სავითი აზრის სწრაფად აღქმა. რასაც „სწრაფი კითხვით“ მოადწევთ. ამა სავითი და პატარა-პატარა მოთარბობებით დაიწყო შინაარსის, სავითი აზრის სწრაფ აღქმა. ჩაინარშეთ, რამდენ ხანში შეისრულებთ ამ პროცესს. მომავალში გავსარდეთ ტექსტის მიკულობა, დრო კი შეიძინებთ (სავით კითხვობის შედეგება გამოყოფით ის ავიგობით, სადაც შინაარსის თარბისა შეწყვეტლია და ბუნებისადწერა მიკულობა). მოავარი, სწრაფად ჩასწავლეთ ნაწარმოების ძირითად შინაარსს, ვავიტორითი მსდეველობა და დამისჯობრების უნარი. დღევანდ დრო და თქვენ შედეგობა ტექსტზე თვალის ვადელობა მარტონდნ მარტონე, არამედ უფროსად კავით, ასე, როგორც ამა კეთილდენ დღენი, ბუსქინი. ღვრისმსტვი, ხალხური და სხვები.

რუსულად კვირიაშვილი

ლამეა, დეკემბრის გრძელი, ბნელი ღამე. ჩვენებმა კარგა ხანია დაციხინეს. საამურად ფეხიანევენ ჩემი პატარა და-ძმები. მეც ვწევარ ლოკოტივში, ძილი კი არ მეგარება. წიგნის წაკითხვა მინდა, მაგრამ დედაჩემისა მეხატარება. მიმულის ხოლმე ღამე კითხვას, ნავთი იხარჯებაო. რა ქნას, მამა ომშია და ყველაფერი დედაჩემის თან თავში სასევი და საფიქრალი. მე მიხინ ავიღე, ფეხაკრეფით წიგნი კამოდისკენ, ღამეა ავიღე და საწილთან პატარა მავიდაზე ჩამოვადგი. სიმწიღეში ხელის ფათორით ასანთივ მოვტებენ, ვავარია და პატარუსე წავუკიდე. იქვე წიგნები ავკოლოვავი; ღამისა ანოვფარე, რომ დედა და ჩემი პატარა და-ძმები მუქს არ გამოვლვიძებინა. მერე ჩავჯექი ლოკონში, მოთაქებზე ამალეებულ ბალისო ზურგით მივევადენი და წიგნი ვადევალი.

კითხვობა. ზოზინ-ზოზინით მიდლის ზამთრის გრძელი ღამე, წიგნის სწავლავებო მისდევენ ერთმანეთს ფურთ, იღვულოდ შინალით. უა, რა კარგია, გინდა მთელ ღამეს ვავთენებ ასე, კითხვაში. მაგრამ უცხად საწილი ვავტარებუნდა, დედაჩემმა ვაიღვიდა. მამინეც წამოვიწიე, რაც ძაბა და ღონე მქონდა, ჩავებეთ ღამის

შუშს. ლამაზა ჩაქრა, უკუნეთი სიბ-
ნელე ჩამოვდა და ნავთის სუნი და-
ტრიალდა ოთახში.

— რას კითხულობ, გოგო, ამდენს?
რამდენჯერ უნდა ვითხრა, ღამე ნუ
წიკითხავ-მეთქი. მაგრამ ვიცი შენი
ხასიათი, თულუხში ერთბეწო ნაე-
თი კიდევ გვიწკლანტია, და სანამ
იმასაც მთლად არ გამოვლევ ვერ
მოისვენებ! — ბრაზობს ნამძინარევი
დედაჩემი.

მეწყინა დედის სიტყვა, გული და-
მესურა, ყელშიც ბურთივით რაღაცა
მომაწვა და ცრემლები წამსკდა. ვტი-
რი, ვსლუკუნებ, თვალებს საბნის
პირთი ვიმშრალებ.

ალბათ დედას შევეცოდე, ადგა,
ჩემთან მოვიდა, მომეფერა:

— კარგი, შვილო, გული ნუ ამო-
ივდებინე, განა არ მემეტება ნავთი?
მაშ ვილა ეშმაკებისთვის მინდა, მაგ-
რამ ომიანი, არ იმოვება. რომ დაგვა-
კლდეს, ვინ მოგვიტანს? თანაც ეს
ოხერი ჩვენი ლამაზა ძალიან დიდიო,
უდიერად ბევრ ნავთსა სწავებს. — დე-
დამ საბანი ამოიკეცა, შერე ერთი
ამოიოსრა და ჩუმად წავიდა თავისი
საწოლისაკენ.

ამის შემდეგ ღამე წიგნი აღარ გა-
დამიშლია. ტყუილუბრალოდ მიდ-

ოდა ზამთრის დიდი ღამეები, დღი-
სითაც მოცლა არ იყო — ხან გაკვე-
თილებიო, ხან საოჯახო საქმეებიო,
კარგი წიგნის წაითხვა კი ისე მინ-
დოდა, სული მეღვოდა.

ვინ იცის, როდემდე ვიქნებოდი
ასე, დედაჩემის მამა — სოსო პაპა
რომ არ მოსულეყო ჩვენთან. ერთი
პატარა ქილა მანდარინის ჯემი და
ციტროდენი შაქარი მოგვიტანა, ფუ-
ლიც გვაიწუა, ჩემს და-ძმებს სურდა
ჩაუყარა ჯოზეში, მე კი ქალაღის
სუთმანეთიანი მომიცა, თან დამარი-
გა: „რეგულები და ფანქრები იყიდეს,
სწავლანი არ ჩამორჩეო“.

მეორე დღესვე წავედი ჩვენი სო-
ფლის მალაზიაში. რვეულები არაფ-
რად ვარგოდა, ფურცლებს ნაცრის-
ფერი დაჰკარგდა, ზედაც შავი, წყნი-
კი წერტილები ეყარა. მაინც ვიყიდე,
აბა რა შექნა, უკეთესს ვინ მომართ-
მევდა.

ის იყო უნდა გამოგზრუნებულეყა-
ვი, რომ უნებურად მალაზიის მეორე
მხარეს გამეტვა თვალი. იქ საოჯახო
რაღაც-რაღაცები იყიდებოდა, ერთ
თაროზე პატარა ლამბებიც იდგა ერ-
თმანეთის მიყოლებით. წინათ ზედაც
არ შევხედავდი ასეთ რამეს, ახლა კი
ახლოს მივიდი. ვუყურებ ლამბებს,

ვათავლიერებ და დედაჩემის სიტყ-
ვები მასწენდება: „ეს ოხერი ჩვენი
ლამაზა ძალიან დიდიო და უდიერად
ბევრ ნავთსა სწავებს“. იქნებ ეს მა-
ინც ამათებინოს? მთლად პატარაა
ერთი ჭუპა ნავთი ძლივს ჩაეტევა.
პატრუქიც ვწირო აქვს, ნახევარი გო-
ჯი იქნება, მეტი არა. თანაც რა კოხ-
ტაა, რა ლამაზი ხანთურა ადგას,
თითბრის ყვავილებით შემოვლებუ-
ლი. „მომწონს, ძალიან მომწონს, უნ-
და ვიყიდო!“ — ეთქვი გულში, შერე
ერთი ყველაზე კონტა ლამაზა ავარ-
ჩი, ვიყიდე და დედაჩემს წაველამე.

— დედი, უყურე, რა პატარაა, ეს
ბევრ ნავთს არ დასწავებს, ამას ავან-
თებ, რა?..

— მართალი ხარ, შვილო, პატა-
რაა, რასაც ჩვენი დიდი ლამაზა ერთ
ღამეს დასწავებს, ეს მთელ კვირას იმ-
ყოფინებს. მაგრამ შუქიც პატარა ექ-
ნება, ისე ვერ გავინათებს, რომ შენ
ღამე წიგნი იკითხო.

— გამინათებს, დედი, როგორ არა,
გამინათებს!

— კარგი, ანთე, — უარი ვეღარ
მითხრა დედამ.

დაღამდა თუ არა, მაშინვე ავანთე
ჩემი ახალი ლამაზა. მართლაც პატა-
რაა შუქი ჰქონდა, ძალიან პატარა,
ოთახის სიბნელეს ვერაფერს აკლემ-
და. წიგნის ფურცლებს კი კარგად
მინათებდა, რაც მართალია, მართა-
ლია! ისეთიანად დაჰყურებდა მალ-
ლიდან, რომ ყველა ასოს, წერტილს
თუ ტირეს გათიეღად ვხედავდი.

ვიჯექი ლოკინში საბანაშამოსურ-
ლი, ჩათუნებული და მივდევდი თვა-
ლით ზამთრის ღამესავით ვრძელ
სტრიქონებს...

დიდი ხანი გავიდა მას შემდეგ! ახ-
ლა ნავთი სანატრელი აღარ არის,
ელექტრონის შუქი უღვრიალებს
ყველგან. თუმცა, ჩემს ოთახში ძვე-
ლისძველ, პეტიჩინისეულ კამოდზე
მაინც დგას ყვითელი თითბრის ლამ-
პა, ბნელ ზამთრის ღამეს თავისი
პატარა შუქით წიგნის ფურცლებს
რომ მინათებდა. დაძველდა ფერი
შექცაბლა, წინანდებურადაც ვეღარ
ანათებს, მაგრამ იყოს, იდგეს კამოდ-
ზე!..





● ვიროსაინი

1984 წ.

ღღეს ეურნალ „პიონერის“ სტუმრები არიან დათო და გიორგი წყრი-ალაშვილები. ვთავაზობთ მათი ნამუშევრების მცირე გამოფენას და დავსენთ, რომ მათი პერსონალური გამოფენა მოწყობილი იყო ვირსალაპის სახელობის ხელოვნების სკოლაში. ექსპოზიციას მრავალი დამთვლიერებელი ეწვია, ყველაზე დი-ინტერესი, ბუნებრივია, ბავშვებმა გამოამყლვენს. მოსწონდათ, ძალიან მოსწონდათ ვოგო-ბიჭებს მათი ტო-ლების შემოქმედება. ზოგი ნამუშე-ვარი მსჯელობისა და კამათის თემა-კი ვახდა თურმე, რადგან ამ „მოკლე მოთხრობებში“ გიორგისა და დათოს ოცნება და გატაცება, მათი წუხილი და სიხარული, საქართველოს ბუნე-ბაზე, მისი წარსულისა თუ აწმყოს

საპირობოტო საკითხებზე ფიქრია გაღმოცემული.

დათო ჯერ პატარაა. მისი ღმილის მომგვრელი ნახატები ბავშვური უშუალობითაა ნაქარანხევი. ფერთა გა-მაც ნათელი და მხიარულია, თუმც აქაც გამოსკვივის ფიქრი, დაკვირე-ბა, და ეს სურათების დასათურე-ბებშიც იგრძნობა — „ეს მთვარე ვილცამ შეკრა“, „სიჩუმე და ჩიტი“, „ნაღვლიანი ჯამბაზი“. ბიჭს უყვარს ჯამბაზები, მაგრამ გარდა მისხარას როლისა, მათი ჭეშმარიტი შინაგანი ბუნება, ერთგვარი სევდიანობაც ამ-ოუცნია და დაუნახავს მათში.

გიორგი 11 წლისაა, I ექსპერიმენ-

ერი სამყაროს ნათელი სარკეა. ჩაი-ხედავთ ამ წმინდა სარკეში და გაო-ცდებით: საიდან? სად? როგორ? მინდა აღვნიშნო, რომ გიორგის ერთგვარი თანავეტრობა გაუწვია ღილი პოეზიის სიყვარულში — ვეცას, ვალაკტიონის, ტიციანის, ანა კალანდაძის, მურმან ლებანიძის და სხვათა ლექსებში. მრავალი სუ-რათის სიუჟეტი უქარანხეს ლექსე-ბაში ღილი პოეზიაში ჩაღრმავებულ ნორჩ შემოქმედს. გიორგი თვითონაც ცდილობს ლექსების წერას. გა-გაცნობთ ერთ მათგანს, ეგებ თავად მიხედვით, რატომ სჭარბობს ბუნე-ბის სურათები მის ნამუშევრებში:

სულეჯი სეყეჯი

ტულ სკოლაში სწავლობს, ფრიაღო-სანი მოსწავლეა. უყვარს კითხვა, განსაკუთრებით — პოეზია. ბეერს ხატავს. ამ გამოფენაზე მან 53 ნამუ-შევარი წარმოადგინა. უმცროსი მშის მსგავსად, გიორგისაც საინტერესო დასათურებები მიუცია ნახატებისთ-ვის, ზოგჯერ ღილი პოეზიასაც და-სესხებია კიტატებს: „მითრევებული სოფელი“, „მზე და ღროშა“, „აქ სი-ჩუმეა“, „მზე და სიჩუმე“, „მთვარე ამოღის ხოლმე რა ჩემად“, „ღერწ-მები ღნებარზე“, „ღრუბლის ტივებ-ზე დაწოლილი ყვითელი მთვარე“ და სხვა.

გიორგის ნახატები მისი სულე-

ღასტრიალებენ ფოთლები მიწას, მინღერად ფოთლები უთვითგომონი, სხედასხეა ხეთა შვილინი მრავალინი ეყერიან მიწას, ეხუტებიან, კვლავ სურთ სიცოცხლე, მაგრამ სედებიან, ერთხელ მოსულნი, ერთხელ კვდებიან, ხეთა სიშორეს ვერ ეგუება ხმელი ფოთოლი... ფოთოლოთა ფრენა, ფოთოლოთა ცვენა მინღერად საზარი სანახავია...



● ლხინი

1979 წ.

● ზოგა II

1984 წ.

● ანთიმეოლოპოია ოფიუსი

1984 წ.

● მარტოვბა

1985 წ.





ჯაზაზაზა

საქართველოს
მათემატიკის
სამეცნიერო ცენტრი

ჯაზაზაზა



ს ს ს ს ს

18.2.17

ძმები წკრიალაშვილები უთუოდ ნიჭიერი ყმაწვილები არიან. მაგრამ, მერყმუნეთ, თუ არა მათი შრომის-მოყვარეობა, წიგნის, პოეზიის სიყვარული და ცოდნა, თუ არა ფართო თვალსაწიერი და მრავალფეროვანი ინტერესები, გიორგისა და დათოს ნახატები ვერაფერს დაინტერესებდა.


და, რა თქმა უნდა, ძალზე დიდია აქ მათი ხატვის მასწავლებლის, 1985 წლის საუკეთესო მასწავლებლად აღიარებული უშანგი ლონდაჩიძის ამაგი. ხატვის მასწავლებელმა დათო და გიორგი (და არა მარტო ისინი) სამუდამოდ დაუმეგობრა ხელოვნებას, შეაყვარა მათ ხატვა, შესძინა

გარემო სამყაროს შეცნობის უნარი, ასწავლა სახიერი აზროვნება, დაევირცხება, ფერის, ხაზის, ფორმის, სინათლის შეგრძნება, განუვითარა ფანტაზია. ეს კი ნორჩებს ხელოვნების საუფლოს შესასვლელს გასაღებს აძლევს. ბავშვების სულში სილამაზე მკვიდრდება, შემოქმედებითი ცეცხლი ღვავდება, შრომის უნარი ძლიერდება და სწორედ ამ პროცესში ხდება მათი პიროვნებად ჩამოყალიბება. აქვე არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ მშობლების დიდი როლიც. შეიღების სულიერი და ფიზიკური აღზრდის საუკეთესო საშუალებად მათ მოგზაურობა აირჩიეს და ფორ-

გისა და დათუკას საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ მრავალი კუთხე დაათვალიერებინეს. მოგზაურობის დროს ნანახსა და განცდილს უკვლიდ არ ჩაუვლია. და ეს კვალი ატყვია ძმების ერთობლივ გამოფენას „პოეზია და ფერწერა“.

ჩემო პატარებო, მე მჯერა, რომ ყველა თქვენგანს უყვარს ხატვა, ძერწვა, ქსოვა, კვეთა, ხელსაქმე. ეცადეთ გულმოდგინედ, სიყვარულით დააკვირდეთ თქვენს გარშემო არსებულ სამყაროს, დანახული და აღქმული ქაღალდზე თუ სხვადასხვა მასალაში გადაიტანოთ.

ილ. გონიბაძე,
ბავშვთა სურათების გალერეის
სამხატვრო ხელმძღვანელი.



სლუბს
ზარი
სამხატვრო
1984 წ.

მასწავლებელმა
უშანგი
ლონდაჩიძემ
სამუდამოდ
დაამეგობრა
ძმებნი
ხელოვნებასთან

ფოტო
გ. სანაძისი



გ. სანაძისი
გ. სანაძისი

ნაძვის გორჩებიანი კაქაოსი



ქონსაგინაი კაუსკოუსაი

მაცარი ზაურ დინიძე

გ მ თ ხ რ ბ ა

კომპოზიტორი ედვარდ გრიგი შემოღობას ბერგენის მასლობელ ტყეებში ატარებდა.

ყველა ტყე მშვენიერია სოკოს სურნელით გაყვანილი პაირთია და ფოთლებს შრიალით, მაგრამ ზღვისპირა მთებს შეფენილ ტყეებს მაინც არაფერი შეედრება. ზღვიდან გამუდმებით ტალღების ხმაური ისმის. ნისლი ნაპირისკენ მიიწვევს. ტენის სიუხვით ლაღად იზრდება ხასივი და ხის ტოტებთან მწვანე კულულებად მიწამდე ეშვება.

გარდა ამისა, მთიან ტყეებში ცხოვრობს მხიარული ექო. იგი თითქოს უცდის, რომ ყოველი ბგერა აიტაცოს და კლდეებს იქით გადატყორცნის.

ერთხელ გრიგი ტყეში ტყის მცველის ქალიშვილს — ნარნაგებთან პატარა გოგონას შეხვდა. გოგონა ნაძვის გირჩებს აგროვებდა და კალათში ყრიდა.

შემოღობა იღვა. მთელი დეღამიწის ზურგზე რაც ოქრო და სპილენძია, ყველა ერთად რომ შეგროვებინათ და უფაღავი თხელი ფოთლი გამოეკვებათ, ეს მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი იქნებოდა შემოღობის იმ ნაბოსელისა, რომლითაც მთები იყო მართული. თანაც, ნაჭვად ფოთლები ხუხუმი გამორჩედილად ბუნებრივთან, განსაკუთრებით კი ვერცხვის ფოთლებთან შედარებით. ვინ არ იცის, რომ ვერცხვის ფოთლები ჩიტების სტეგაზეც კი თრთიან.

— რა გჭირა, გოგონა? — ჰკითხა გრიგმა.

— დავინ პედერსენი, — ხმადაბლა უპასუხა გოგონამ.

სხმადაბლა განა იმითო უპასუხა, რომ შემინდა არა, დაიარსებინა. არც შეიმძებრება შემინებოდა. იმიტომ, რომ გრიგს თვალუში უცნაურად.

— ეს რა მომივიდა! — თქვა გრიგმა. — არაფერი ისეთი არა მაქვს, რომ გაჩუქო. ჯობით არც თოჯინა დამაქვს, არც ბაფთა და ხავერდის კურდღლები.

— მე ჩემი დედიკოს ძველი დედოფლა მყავს, — უთხრა გოგონამ. — ოდესღაც ეს დედოფლა თვალებს ხუჭვავდა, აი ასე! — მან ფრთხილად დახუჭა თვალები და როცა ისევ გახსილა, გრიგმა შეამჩნია, რომ მომწვანო გულები პქონდა და მათში ცეცხლისფრად ბრწყინავდა ფოთლების ათინათი.

— ახლა თვალემგახვლილს სძინავს, — ნაღვლიანად თქვა დავნიმ. — ხნიერებს საერთოდ ცუდად სძინავთ. პაპანევიც მთელი ღამე ხუნწის.

— ყური მიგდებ, დავნი, — უთხრა გრიგმა, — რაღაც მიუფიქრებ. მე შენ ერთ საინტერესო რამეს გაჩუქებ,

ოღონდ ახლა კი არა, ათი წლის შემდეგ.

დავნიმ ტაში შემოპკრა.

— ოი, რა დიდი დროა!

— საქმე ისაა, რომ მე იგი ჯერ უნდა გავაკეთო.

— რა უნდა გააკეთო?

— მეტე გაიგებ!

— განა მთელი ცხოვრების მანძილზე მხოლოდ ხუთი ან ექვსი სათამაშო შეგიძლიათ გააკეთოთ? — გაკვირვებით ჰკითხა გოგონამ.

გრიგი შეტბა.

— არა, არა, ასე არ არის, — ყოყმანით უპასუხა მან. — მე შეიძლება რამდენიმე დღის შემდეგაც შეგაგვაკეთო. მაგრამ ასეთ საჩუქრებს პატარა ბავშვებს არ უძღვნიან ხოლმე. მე საჩუქრებს დიდებისათვის ვაკეთებ.

— არ გავტეს, — ვედრებით უთხრა დავნიმ და გრიგს ხელი მოჰკიდა. — არ გავტეს. აი, ნახათო! ბაბუაჩემს მინის სათამაშო ნაფი აქვს, მე მას ხშირად ვწმენდ ხოლმე, და არც ერთხელ ერთი ნამეციცი კი არ ჩამომიბტვრევია.

„ამ დავნიმ სულ ამიბნია თავგზა“, — გაიფიქრა გრიგმა და ისეთი რაღაც უთხრა, რასაც უფროსები ამბობენ ყოველთვის, როცა ბავშვების წინაშე უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდებიან ხოლმე.

— შენ ჯერ პატარა ხარ და ბევრი რამ არ იცი. ისწავლე მოთმინება. ახლა კი კალათი მომიცი. სომ სედავ, ძლივს მივაქვს. გაგაცილებ და გზაში სხვა რამეზე ვილაპარაკო.

დავნიმ ამითობრა და გრიგს კალათი გაუწოდა. იგი მართლაც მძიმე იყო. ნაძვის გირჩეებში ბევრი ფისია, ამიტომ ისინი გაცილებით უფრო მძიმე არიან, ვიდრე ფიჭვის გირჩები.

როცა ხერხს შორის მერყევის სახლი გამოჩნდა, გრიგმა გოგონას უთხრა:

— ახლა კი თვითონ მიიბრუნე სახლში, დავნი პედერსენ. ნარნაგებია შენი სახელისა და ვეარის გოგონა ბევრია. მამაშენს რა ჰჭირა?

— ჰაერბუი, — უპასუხა დავნიმ. მუბლი შეიჭმუნსა და ჰკითხა: — ჩვენთან არ შეიხსვალთ? ჩვენ მოქარგული სუფრა გვაქვს, ელავი კაბაც გვყავს. პაპა ან დავნიმლით, ხელი რომ მოჰკიდოთ.

— გმადლობ. ახლა არა მცალკია. ნახვამქნის, დავნი! — გრიგმა გოგონას თავზე ხელი გადაუსვა და ზღვის მხარეს გასწავს.

დავნი მუბლმერული გასქქეროდა მას. კალათი აწერავდა ეჭირა და იქნად გირჩები ცვიოდა.

„მუხიკას დავწერ, — გადაწყვიტა გრიგმა. — და თავფურცელზე დაეპაჭვინებ: „დავნი პედერსენს — მეტწვევი პაერუპ პედერსენის ქალიშვილს, როცა მას თვრამეტი წელი შეუსრულდება“.

ბერგენში ყველაფერი ძველებურად იყო. ყველაფერი ის, რასაც ბერგენის ოდნავი დახსნობა შექმლო — ნოსხები, პორტრეტები, რბილი ავეჯი — გრიგმა დიდი ხანია გაიტანა სახლიდან. მხოლოდ ძველი დივანი დატო

ვა, იგი ათ სტუმარს მაინც დაიტევდა და ამიტომ გრი-
ვი გადასავადებდა ვერ იმეტებდა.

მეგობრები ამბობდნენ, კომპოზიტორის სახლი შე-
ნის მჭრელის სახლს ჰგავსო. მის ბინას მხოლოდ როია-
ლი ამშვენებდა.

თუ ადამიანს წარმოსახვის ნიჭი ჰქონდა, ამ თეთრ
კედლებში მოისმენდა ჯადოსნურ ხმებს: მძლავრ გუ-
ნუნს ჩრდილო ყინულოვანი ოკეანისა, ქართა საუფლო-
დან ტალღებს რომ მოაგორებდა და თან თავის ველურ
სავას უსტვენდა; და პატარა გოგონას წრიალა ნაწინა-
საც, ნაჭრის დედოფალს რომ უმღეროდა.

როიალს ყველაფერზე შექმლო ემდერა — ყოველივე
დიადისკენ ადამიანის სულის ლტოლვასა და სიყვარ-
რულზე. თეთრი და შავი კლავიშები გრიგის ძლიერ
თითებში ნადვლოვანდნენ, იცინოდნენ, რისხვით აღვსილ-
ნი გრიალებდნენ და მერე მოულოდნელად მიჩუმდე-
ბოდნენ.

შამინ, ამ სიჩუმეში, კიდევ დიდხანს სმინაობდა ერთი
პატარა სიმი, თითქოს დებისაგან გულნატკენი გერია
გოგო ტირისო.

გარკვევით ისმოდხ, როგორ წვეთავდა ონკანიდან წყა-
ლი და წამებს მეტრონომის სიზუსტით ითვლიდა. წვე-
თები ამტკიცებდნენ, რომ ღრო არ იცდის, ამიტომ
საკვიროა იჩქარო, რათა მოასწრო ყველაფერი, რაც ჩა-
ფიქრებული გაქვს.

გრიგი თვეზე მეტს წერდა მუსიკას დაგნი პედერსენი-
სათვის.

დაღბა ზამთარი. მთელი ქალაქი ნისლში გაეხვია.
სხვადასხვა ქვეყნებიდან ჩამოსული განგომილებული გე-
მები ნადვისადგომებთან თვლებდნენ.

მაღე თოვაც დაიწყო. გრიგი ფანჯრიდან ხედავდა, რა
ირიბად თოვდა და ხის წვერებს როგორ ეჭვილებოდა
ფიქვები.

მუსიკის გადმოცემა სიტყვებით, რასაკვირველია,
შეუძლებელია, რაგინდ მიღიღარი ენაც უნდა გვექონდეს.

გრიგი წერდა ქალწულობისა და ბედნიერების უდიდეს
სიმშვენიერებზე.

იგი წერდა და ხედავდა, როგორ მირობდა მის შე-
სახვედრად სიხარულისაგან სულშეგუბებული ქალიშვი-
ლი და მქვანე თაღლები უბრწყინავდა. აი, ის ყელზე
ეხვევა და გახურებული ლოყით ჭაღარა, გაუპარსავ
ლოყას ეკვრის. «გამადლობთ!» — ამბობს ქალიშვილი,
თუმცა ჯერ არ იცის, რისთვის უხდის მადლობას.

— შენ მზეს ჰგავხარ, — ეუბნება მას გრიგი. — ნახი
სიო ხარ, განთიადი. შენს მკერდზე თეთრი ვარდი გაი-
ფურჩქნა და მთელი შენი არსება გაზაფხულის სურნე-
ლებით გაავსო. მე ვნახე ცხოვრება. რაც უნდა გიბო-
რან მის შესახებ, ყოველთვის გვეროდეს, მაგრამ მთელი
ცხოვრება, შრომა, ნიჭი ახალგაზრდობას შეეწირე. ყვე-
ლაფერი შეეწირე. ამიტომ მე, დაგნი, შეიძლება შენზე
ბედნიერიც კი ვიყო.

შენ თეთრი ღამე ხარ, იღუმეალი სინათლით მოსილი.
შენ ბედნიერება გეგია. შენ განთიადის სხივი ხარ. შენი
ხმა გულს აბრთოლებს.



და, იყოს დალოცვილი ყოველივე, რაც შენს ვარშე-
ბოა, რაც შეეხება და რასაც შეეხება, რაც ვახარებს
და გაფიქრებს!"

გრიგი ასე ფიქრობდა და რასაც ფიქრობდა, ყველ-
ფერს უკრავდა. ეპვი ჰქონდა, ვიღაც მიმინოს, ხვედ-
ბოლა კიდევ, ვინ იქნებოდა. ესენი იყვნენ წიწკანები,
პორტში მოსეირნე მატროსები, მუშობელი მრეცხავი,
ჭრიჭინები, ციდან ფარფატით ჩამოსული თოვლი, კაბა-
დაკეცილი გიგანა გოგო.

ყოველი მათგანი თავისებურად უსმენდა. წიწკანები
შფოთავდნენ. მაგრამ, რაც უნდა მოეწოდებინათ, როია-
ლის ხმას ვერა და ვერ ჩაახშობდნენ.

სეირნობით გულნაჯერები მატროსები კიბის საფე-
ხურებზე სხდებოდნენ და ისე უსმენდნენ. მრეცხავი
წელში სწორდებოდა, განივდებულ თვალს ხელისგუ-
ლით იწმენდა და თავს აღწევდა. ჭრიჭინა კვლავიდან
გამოძვრებოდა, კაფელი ექველს დაასაკუბდებოდა და
ჰუჭურტანდნენ ათვალთვრება გრებს.

თოვლის ფიჭვები პარკში ჩერდებოდნენ და უსმენდ-
ნენ წყრილაჲ მუსიკას, რომელიც გრიგის სახლიდან
იღვრებოდა. გერია გოგო ღიმილით დასცქეროდა იატაკს.
შიშველ ფეხებთან ბროლის ფეხსაცმელები ეწყო. ისინი
კოთხედს და ერთმანეთს ეკვროდნენ, როცა გრიგის
ოთახიდან აკორდები მოაღწევდა.

გრიგი ამ მსმენელებს უფრო აფასებდა, ვინემ მის
კონცერტზე დასასწრებად მოსულ მორთულ-მოკაზმულ
ხალსს.

თერამეტე წლის დაგნომ სკოლა დაამთავრა.

ამ შემთხვევის გამო მამამ იგი ქრისტიანიაში გაგ-
ზავდა სტუდენტს თავის დასთან — მამადასთან. ნახოს
გოგომ ქვეყანა (მამას იგი პატარა გოგოდ მიანდა, თუ-
ცა დაგნი უკვე ტანწირწება ქალღმერთი იყო და ზურ-
გზე მძიმე ოქროსფერი ნაწნავები ეყარა), ნახოს, რო-
გორ ცხოვრობს ხალხი, ცოტა გამზიარულებოდა.

ვინ იცის, რა ელის დაგნის მომავალში? შეიძლება
პატრიხანა და მოსიყვარულე, მაგრამ ძუნწი და გაუცი-
ნარი ქმარი შესვლეს, შეიძლება სოფლად დღეწამში
მოუსვდეს მუშაობა გამყიდველად, ან იქნებ ბერგენში
ერთ-ერთი სანაოსნო კანტორაში დაიწყოს სამსახური.

მაგდა თატრში მკერავად მუშაობდა, ხოლო მისი
ქმარი, ნილსი, იმავე თატრში დალაპი იყო.

ისინი თატრის სხვენზე ერთ პატარა ოთახში ცხოვ-
რობდნენ. იქიდან ჩანდა საზღვაო დროშებით აჭრელე-
ბული ყურე და ისენის ქანდაკება.

ღია ფაჯარაში მთელი დღე გემების საყვირის ხმა
ისმოდა. ძია ნილსმა ის შეისწავლა მათი ხმა, რომ,
როგორც თვითონ ამბობდა, შეუცდომლად ხვდებოდა,
რომელი გემი იყო: კომენაგენის „ნორდენი“, გლაზ-
გოს „შოტლანდიელი მომღერალი“ თუ ბორდოს „ჰანა
დარკი“.

დეიდა მაგდას ოთახში უამრავი თანატოლური საგანი
ეწყო: ფარჩა, აბრეშუმი, ტულო, ნეტრები, არშები,
სირაქლეშის შავი ფრთებით დამშვენებული ძველებური
ფატრის ქულები, ბოშაოა თავსულები, ჭადარა ნაპიკები,

სილენისი დეზებიანი ბოტფორტები, დამსუბი, მარაო-
ბი, გადაქექილი ვერცხლისფერი ფეხსაცმელები. დეიდა
მაგდა ყველაფერს აახლებდა, ასუფთავებდა, აუთოვებდა,
აუკრებდა.

კვლევზე ეკიდა წიგნებიდან და ჟურნალებიდან ამ-
ოჭრილი სურათები: ლუდოვიკო XIV-ის დროინდელი
კავალრები, ღამაზმანები, მეფეები, სარაფინანი რუსი
ქალები, მატროსები და ვიკინგები, თავზე მუხის ტრო-
ბის გვიგირენიბი რომ ედგათ.

ოთახში დაქანებული კიბით უნდა შესულიყავით. იქ
მუდამ ლაქის და საღებავის სუნი იდგა.

დაგნი ხშირად დადიოდა თატრში და ეს დიდად არ-
თობდა, მაგრამ სექეტაქლის შემდეგ ქალღმერთს დი-
ხანს არ ეკარებოდა ძილი. ზოგჯერ იგი ტირიდა კი-
დედ თავის საწოლში.

შეშინებული დეიდა მაგდა ცდილობდა დაემშვიდებინა
დაგნი, ეუნებებდა, ყველაფერი კი არ უნდა დაიჯერო,
რაც სცენაზე ხდებაო. ძია ნილსმა კი დეიდა მაგდას
ამის გამო „კრუსი“ უწოდა და დაგნის უთხრა: თატრ-
ში ყველაფერი უნდა დაიჯერო, ყველაფერი. ასე რომ
არა, მამ თატრი რაღა საჭირო იქნებოდაო? დაგნისაც
სჯეროდა.

მაგრამ დეიდა მაგდა მაინც თავისას ამბობდა, — მრ-
ვაღფეროვნებისთვის კონცერტზე უნდა წავიდეთო.

ნილს ამის საწინააღმდეგო არაფერი ჰქონდა. „მუ-
სიკა, — თქვა მან, — გენისის სარკია“.

ნილსს უყვარდა აზრის ამაღლებულად და ბუნდონად
გაერთოქმა. დაგნივე იგი ამბობდა, უეტრტიურის პირველ
აკორდს ჰგავსო. მაგდას კი, მისი სიტყვით, ადამიანე-
ზე რაღაც ჯადოქრული ზემოქმედების ძალა ჰქონდა.
ეს ძალა იმში გამოხატებოდა, რომ მაგდა თატრა-
ლურ კოსტიუმებს ეკრავდა. ის კი ყველას მშვენივრად
მეუხსენებდა, რომ ადამიანი ყოველთვის იცვლება, როცა
ახალ კოსტიუმს იცვამს. ამიტომაც არის, რომ ერთი და
იგივე მხასილი, გუნწი რომ საზიზღარი მკვლელი
იყო, დღეს მგზნებარე შეყვარებულა, ხვალ შეიძლება
მეფის მახსარა იყოს, ზეც კი — სახალხო მფირი.

— დაგნი! — ყვიროდა ასეთ დროს დეიდა მაგდა. —
ყურები თითბებით დაიცავი და ნუ უსმენ მაგის სულე-
ლურ მახსარას! თვითონ არ ესმის, რას ამბობს, ეგ
სხვევის ფილოსოფოსი, ეგა!

იგნისის თბილი დღე იყო. თეთრი ღამეები იდგა. კონ-
ცერტები ქალაქის პარკში, ღია ცისქვეშ ტარდებოდა.

დაგნი მაგდასთან და ნილსთან ერთად კონცერტზე
წავიდა. უნდოდა თავისი ერაზმანის მშვენიერი თეთ-
რი კაბა ჩაეცვა, მაგრამ ნილსმა უთხრა, ღამაზმა გო-
გონამ ისე უნდა ჩაიცვას, რომ ირველზე მყოფთა შო-
რის გამოირჩეოდა. ერთი სიტყვით, მისი დაბრვიდა
და მოსაზრებები ჩამდის თაობაზე ის იყო, რომ თვით
დამეგბის ქალიშვილმა აუცილებლად შავი კაბა უნდა
ჩაიცვას, და ბუნელ ღამეებში, კი, პირიქით, თეთრი კაბე-
ბით უნდა ანათავდესო.

ნილსისთვის წინააღმდეგობის გაწევა არ შეიძლება,

და დაგნიმ შვიი ხავერდის კაბა ჩაიცვა. ეს კაბა მაგდამ თუტრის საკოსტიუმოდან გამოიქანა.

როცა დაგნიმ კაბა ჩაიცვა, მაგდა ღარწმუნდა, რომ ნილსი მართალი იყო — არაფერი ისე ნათლად არ აჩენდა დაგნის მკრთალ სახეს და მის გრძელ, ოქროსფერ ნაწნავებს, როგორც ეს იდუმალი სავერდი.

— შეხედე, მაგდა, — უთხრა ჩუმად ბიძია ნილსმა, — დაგნი ისეთი მშვენიერია, გვეგონება, პირველად მიღის პაემანზეო.

— აბა, აბა! — უბახუხა მაგდამ. — მე რაღაც არ მახსოვს, ჩემს გვერდით ციდან მოწყვეტილი ვარსკვლავი მდგარაიყოს, როცა შენ პირველად პაემანზე გამომეცხადე. ყბელი მყავსარ, ყბელი, და ეგ არის! — ამ სიტყვებით მაგდამ ბიძია ნილსს თავზე აკოცა.

კონცერტი დაიწყო ჩვეულებრივ დროს, საღამოს. პორ-

ტში ძველი ქვეშების გასროლის ხმა შუის ჩასვლას ნიშნავდა.

მიუხედავად იმისა, რომ დაბინდდა, არც ღირვეტორი და არც ორკესტრის წამყვანები არ რთავდნენ სინათლეს. იმდენად ნათელი საღამო იყო, ცანცის ფოთლებში ფარნები ალბათ მხოლოდ იმისთვის აენთოთ, რომ კონცერტისათვის საზეიმო იერი მიეცათ.

დაგნი პირველად ისმენდა სიმფონიურ მუსიკას. ამ მუსიკამ მასზე უცნაური შთაბეჭდილება დატოვა. ორკესტრის ხან ნაწი, ხან შეუხარე ელვრა დაგნის გონებაში სიზმრებივით ფერად-ფერად სურათებს ხატავდა.

მერე დაგნი უცებ შეკრთა და თვალები ასწია. მას მოეჩვენა, რომ ფრაკში გამოწყობილმა გამსდარმა მისმაკადმა კონცერტის პროგრამის გამოცხადებისას მისი სახელი ასხენა.

— შენ დამიძახე, ძია ნილს? — ჰკითხა დაგნი ნილსს. ძია ნილსი თან გაოცებოთ, თან ალტაცებით მისჩერებოდა დაგნის, ასევე უცქერდა მას ღვიდა მაგდა.

— რა მოხდა? — ჰკითხა დაგნიმ.

მაგდამ ხელი წაავლო და წასჩურჩულა:

— უსმინე!

მამინ დაგნიმ გაიგონა, როგორ თქვა ფრაკიანმა მამაკაცმა:

— ბოლო რიგებში მსდომი მსმენელები მთხოვეენ, გავიფორმა. ამგვარად, ახლა შევასრულებთ ედვარდ კრივის განთქმულ მუსიკალურ პიესას. იგი ეძღვნება მეტყვე პაგურკ პედერსენის ქალიშვილს — დაგნი პედერსენს იმის აღსანიშნავად, რომ მას თვარამეტი წელი შეუსრულდა.

დაგნიმ ისე ღრმად ჩაისუნთქა, რომ გული ეტკინა. თითქოს ამით უნდოდა ყელში მოზგუნელი ცრემლების შეკავება, მაგრამ ამან მინც ვერ უშველა. დაგნი დაიხარა და სახეზე ხელები აიფარა.

თავდაპირველად მას არაფერი ესმოდა. მის არსებაში ჰარიხსალი ბოზობრობდა. შემდეგ, როგორც იქნა, გავიგონა, როგორ ხმანიანს უთვინია მწყემსის საყვირი და როგორ ესმაურება მას ათასხმოვანი სიმებიანი ორკესტრი.

მელოდია მალღდებოდა, ჰარივით ბოზობრობდა, ხის წვეროებში დაქროდა, ფოთლებს აცლიდა მათ, ბალახს არხვება, სახეში ცივ მზეფუმს უშენდა დაგნის. დაგნიმ თითქოს მუსიკისაგან მონაბერი სიო იგრძნო და ღამშვიდდა.

დაბას ეს იყო მისი ტყე, მისი სამშობლო, მისი მთები, მწყემსების სიმღერა, მისი ზღვის ღელვა.

მინის გემები ზღვას აქაფებდნენ. გემსართავებში ქარი ხმაურობდა. ეს ბეგრა შეუმჩნეველად გადადიოდა ზარის ხმაში, პაერში მორიალუ ფრინველების ჭივივში, ზეფეების ფრიალში, იმ გოგონაზე შეთხზულ სიმღერაში, ვის ღანჯარასაც განთიადღე შეყვარებულმა კენჭი ესროლა. დაგნის შინ, მთებში ესმოდა ეს სიმღერა.

მაშ, ეს ის კაცი იყო! ის ჭაღარა კაცი, ნაძვის გირჩებით ხავე კალათი სახლამდე რომ მიატანინა. ეს იყო ედვარდ გრიგი, ჯადოქარი და დიდუ მუსიკოსი!



ქვირფსო მეგობრებო, ანკეტას, რომელიც ჩვენი უფროსი ვასული წლის მე-12 ნომერში გამოვაქვეყნეთ, 354 მკითხველი გამოენებურა. განსაკუთრებით სასიამოვნოდ გვჩნდება ის ფაქტი, რომ პასუხების დიდი ნაწილი კომპეტურია. „ვინაიდან ოჯახში „პიონერს“ ყველანი კითხვულხართ, მიზანშეწონილად მივიჩნით ანკეტაზე პასუხი კომპეტურად გავგეცა“, — გვეწერს ერთნი. „პიონერში“ გამოქვეყნებულ მასალებზე ჩვენი კლასელები ყოველთვის ვსჯელობთ, ვკამათობთ. კამათში ხშირად ჩვენი მასწავლებლებიც ერევიან, ამიტომ ანკეტის კითხვებზე პასუხებსაც საერთის გავგეცემო“, — ვეწერს პიონერული რაზმის დავალებით რაზმის საბჭოს თავმჯდომარე.

რასაკვირველია, პასუხების უმეტესობა თითო ავტორი ჰყავს, ისინი დამოუკიდებლად ცდიან შეფასება მიეცათ უფროსისათვის, მისი ცალკეული განყოფილებისა თუ გამოქვეყნებული მხატვრული მასალებისათვის. შეძლებისდაგვარად გვთავაზობენ ახალ წინადადებებს და თემებს, რაც, მიათაზრობ, უფრო საინტერესოს და მრავალმხრივს გახდება უფროსს.

ჩვენი ცხადია, დიდი გულსყურით წვავითხმეთ ყველა კორესპონდენტია, შეეჯერეთ პასუხები, აწონ-დაწონეთ თითოეული შემოთავაზებული

წინადადების მიზანშეწონილობა და ახლა თქვენს სამსჯავროზე გამოვავაქვს ისინი.

კორესპონდენტთა აბსოლუტური უმრავლესობა იწონებს ნორჩ კორესპონდენტთა უფროსად „ისის“ მუშაობას. მოსწონთ მისი სადისკუსიო კლუბი. გვთავაზობენ ახალ თემებს: ესენია: მოსწავლეა ზნეობა; ჩაცმულობა (ლაურა კვარაცხელია, ხობი); ბიჭებისა და გოგონების ურთიერთობა (თამარ ხაჩიძე, ლავიღვი). გოდერძი ადამია, ფოთი); ზომიერება (ნანა კვესელავა, კახათი); ჩვენი კედლის ცაზეთი (მარინე ჩქარეული, გორისიბე). რამდენიმე მოსწავლე გვთავაზობს სადისკუსიო თემას „ჩემი მამა“. ამ თემას რომ გვთავაზობენ ავტორები, თან განმარტავენ — ამის აუცილებლობა გამოწვეულია იმით, რომ მამები სულ უფრო ნაკლებად იცლიან შევლებსისათვის. რედაქციას ამ წინადადებაში მკითხოვდნენ შესწორება შეაქვს. ამ თემას ჩვენს მკითხველს შევთავაზობთ არა სადისკუსიო, არამედ როგორც თავისუფალ თემას, რომელშიც მოზარდები გვიამბობენ თავიანთი მამების შესახებ. იმათ ნაშეუგებებს, ვინც შესატყვისს მოვლედ, დამაჩერებლად გვიამბოს თავის მამაზე, მის საქმიანობაზე, პიროვნულ თვისებებზე, გაცატყებებზე, შევლებთან ურთიერთობაზე, „ისის“ ფურცლებზე გამოვქვეყნებთ.

ზოგი კორესპონდენტი თხოვლობს „ისისათვის“ უფრო მეტი ადგილის დათმობას, ზოგი კი მეტად გულსატყვენ უყურადღებობას იჩენს და გვეწერს, „ისის“ შესახებ ვერაფერს ვიტყვი, რადგან ეს უფროსი გამოწერილი არა მაქვსო. ამ პასუხიდან ნათლად ჩანს, როგორ უფულოდ, ზერელედ ათვალეობენ იგი უფროსს, ვინა შეიძლება წლების მანძილზე კითხვულობდ „პიონერს“ და ვერ გააკვივო, რომ „ისის“ არის უფროსი „პიონერის“ ფურცლებზე მოთავსებული ნორჩ კორესპონდენტთა უფროსი და არა ცალკე გამოცემა. არცთუ ისე იშვიათია ასეთი ლაღსულებიც: „ძალიან დამაინტერესია დისკუსიამ „ჩვენი შემოქმედება“ ანდა „სადისკუსიოლ ვთავაზობთ ჩემს საკუთარ ლექსს“. მით უმეტეს დასანანი, რომ ამ სიტყვების ავტორებმა მე-7 და მე-8 კლასის მოსწავლეები არიან.

ანკეტის პასუხებში დიდი ადგილი აქვს დათმობილი სურათს, უფრო მეტად დიდი და ხშირად ეგსტრემით მკითხველს მათი უცხოელი თანატოლების შესახებ, ასევე, გამოთქმული მოსაზრება მსოფლიოს პოლიტიკური ცხოვრების შესახებ საუბრების აუცილებლობაზე.

რედაქცია შეეცდება რეზერვს „შენი უცხოელი თანატოლები“ მუდმივი განადგობა, რაც შეეხება პოლიტიკური ცხოვრებას მიმოხილვას, ეს

დავინა კი საყვედურობდა, სწრაფად მუშაობა რატომ არ შეგიძლიათ.

აი, თურმე რა საჩუქარს პირდებოდა ათი წლის შემდეგ!

დავინ ტიროდა, ვერ ფარავდა მადლობის ცრემლებს. ამასობაში მუსიკამ აავსო მთელი სივრცე მიწასა და ქაღალტის თავზე დაკიდებულ ღრუბლებს შორის. მკვლადღებოდა ტალღებმა ღრუბლები მსუბუქი ჭვავებით დაფარა, ჭვავებს ქვემოდან ვარსკვლავები ანათებდა.

მუსიკა უკმა აღარ მღეროდა, იგი უხმოდა. უხმოდა თავისკენ, იმ ქვეყანაში, სადაც არავითარ ვასპორის არ ძალუქს სიყვარულის გაციება, სადაც არავინ არავის ართმევს ზედნიერებას, სადაც მზე ანათებს, როგორც გვირგვინი ზღაპრული კეთილი ჯადოქრის თმებში.

ბევრების ზღვაში უცხად ნაცნობი ხმა გამოკრთა: „შენ ბედნიერად ხარ, — უთხრა მან. — შენ განთიადის ვარსკვლავი ხარ!“

მუსიკა მიჩუმდა. მერე უცებ იქნა ტანში.

დავინ ადგა და სწრაფი ნაბიჯით გაემართა პარკის განასწავლისკენ. ყველა მას მისჩერებოდა. შეიძლება ზოგიერთმა გაიფიქრა კიდევ, რომ ეს გოგონა ის დავნი ჰედერსენი იყო, რომელსაც გრიგმა თავისი უკვდავი ნაწარმოები მიუძღვნა.

„ის მოკვდა! — ფიქრობდა დავნი. — რატომ, რატომ მოკვდა? რომ შეიძლება იყოს დავინახო იგი, ახლა აქ რომ გამოვნიდებოდეს... რა სისხარულის გულისხმევით გავარდნობდა მის შესახებად, ყველზე მოეხვედრა, ცრემლებისგან სველი ლოყა მიეცებოდა ლოყაზე და



უფრო რთული საკითხია, რომელიც უშუალოდ ეყრდნობა გამოშვების გრაფიკთან არის დაკავშირებული (მაგალითად წინამდებარე მე-5 ნომერი სტამბაში ჩამოყვებული იქნა 25 მარტს, მკითხველმდე იგი უკეთეს შემთხვევაში 20 მაისისთვის მიაღწევს). ამდენად, პოლიტიკური ცხოვრების ის ფაქტები, ეყრდნობის მომზადებისას რომ ასალი იყო, მკითხველმდამდე მიღწევამდე შესაძლოა მოძველდეს კიდევ. ამ მხედველობაში უნდა მივიღოთ დღევანდელი მსოფლიო პოლიტიკური ცხოვრების მერტად აქტუალური ტენდენციები.

ასეთი მისაღების გაცნობა თქვენთვის მიზანშეწონილი იქნება ვახუთი „ორი რეწინეწის“ და „პიონერსკაია პრადას“ ფურცლებზე, რომლებზეც განვითარების დამახასიათებელი ოპერატიულობით აქვეყნებენ პოლიტიკურ მიმოხილვებს.

საგარეოელი ნანას როსტიაშვილი გვთხოვს, მეტი ადგილი დავუთმოთ მომძე რესპუბლიკების თანატოლთა ცხოვრების გაცნობას, მიეცეთ მათთან დამეგობრების საშუალება. რედაქცია იწონებს ნანას წინადადებას.

გამოკითხულთა აზრით, მოსაწონია პიონერული აქტივების კლბ „ჟოკონის“ მუშობა; ყველა მათგანი აღნიშნავს, რომ „ჟოკონის“ მისაღები დიდად ეხმარება მათ პიონერულ მუშობაში. ზოგიერთი კომკავშირელის, რაზმის ხელმძღვანელის სურ-

ვილი კი არის, პიონერებთან მუშობის საორიენტაციო ვეგმა მივაწოდოთ. მათ საყურადღებოდ უნდა ითქვას, რომ პიონერებთან მუშობის მთავარი ორიენტირი არის „საკავშირო პიონერული მარში“. აღნიშნული მარშის მიხედვით პიონერული რაზმებისა და რაზმულეების მუშობასზე, მათ დადებით გამოცდილებასზე ეყრდნობა სისტემატურად, ყველა ნომერში ბეჭდავს პიონერულ ნარკვევებს. ყურადღებით წაიკითხეთ, გაეცნით მათ მუშობას და თქვენში პიონერების, თქვენი პიონერების სურვილებისა და მოწოდებების გათვალისწინებით შეადგინეთ სამუშაო ვეგმა. შუა რეკებებში პიონერულ მუშობაში არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს. ეს წმინდა წყლის აფრიალებია, რასაც თითოეული ჩვენგანი უნდა ებრძოდეს.

საშურელი ლია გოგოლაძე გვთავაზობს ეყრდნობაში შემოვიღოთ რუბრიკა, სადაც მკითხველი შეხვედება რესპუბლიკის ამგდარ მასწავლებლებს. რედაქცია სულთა და გულთ მიესალმება ამ წინადადებას. გადაწყვიტეთ, რუბრიკას დავარჯვთ „მასწავლებელი, ჩემი კარგი მასწავლებელი“.

საჩხერის სოფელ ბერგვიდან გულნარა ტროსნელისი წინადადება დროდადრო შევეხმაროთ ეყრდნობის ყოფილ კორესპონდენტებს, ან-

და ეყრდნობაში გამოკვეყნებული ნარკვევებისა და წერილების გვირგვინს, თვალის გავაღწეოთ მათ შემდგომ ცხოვრებაში. ჩვენი აზრით, ძალზე საინტერესო მოსაზრებაა. შევეცდებით მის განხორციელებას.

ბეგრე კორესპონდენტი გვთხოვს შემოვიღოთ მუსიკალური გვერდი. უფრო მეტი ეყრდნობა სპორტზე, ხელოვნებაზე, კერძოდ, მოზარდ მასწავლებელთა თეატრზე. გვთხოვენ შეხვედრებს პოეტ-კავშირებს ირაკლ აბაშიძესთან, კომპოზიტორ გიორგი ცხაძესთან, ნანი ბრეგვაძესთან, ირმა სოსხესთან, რუსულან ფეტიაშვილთან.

შევეცდებით, დავაკაყოფილოთ თქვენი სურვილები.

მამ ასე, ჩვენი დაუსრულებელი მკითხველთა კონფერენცია დამთავრდა. ვფიქრობთ, აზრთა გაცვლა-გამოცვლა სარგებლობას მოუტანს ყველა მის მონაწილეს, უპირატესს ყოფილია კი დავხმარება ეყრდნობის შესვერებს მუშობის გაუმჯობესებაში.

დასასრულს, გვირგვინ თითოეულ თქვენგანს დიდი პატივით გთხოვთ ასეთი დანიშნულებული გამოხმარებისათვის და გისურვებთ კანმრთელობა, წარმატებები სწავლასა და პიონერულ ცხოვრებაში.

შარნალ „პიონერის“ რედაქცია

მხოლოდ ერთ სიტყვას ეტყობა: „გმადლობთ!“. „რისთვის?“ — ჰკითხავდა იგი. „არ ვიცი...“ — უპასუხებდა მას დავანი. — იმისთვის, რომ არ დამივიწყეთ; გულსუვი საჩუქრისთვის; იმისთვის, რომ დამანახვეთ ის მშვენიერება, რითაც დამინამა უნდა იცოცხლოს.“

დავანი უაქტიუოდ ჰქრებოდა მიაბრუნებდა. იგი ვერ ამჩნევდა, რომ მას უკან შეუწინვლად მიჰყვებოდა ნილსი, რომელიც მავდამ დაადევნა. იგი მთვრალივით ბარბაცებდა და რაღაცას ბუბუბუბებდა მათს ცხოვრებაში მომხდარ სასწაულზე.

ქალაქი ჯერ კიდევ ღამის ბინდში იყო ვახვეული, მარგამ ფანჯრებზე უკვე ირეკლებოდა ჩრდილოეთის სუსტი აისი.

დავანი ზღვასთან მივიდა. ზღვა ღრმა ძილს მისცემო-

და. წყალი არ იძვროდა. დავანიმ ხელები მომუჭა და დაიკვნა. მთელი მისი არსება ამ საწყაროს ხილამაზის გრძნობას მოეცა.

— გამიგონე, სივოცხლევ, — ხმადაბლა თქვა დავანი. — მე შენ მიყვარხარ...

და ვაგინა, ფართოდ გახლებული თვალებით ვახვდა განათებულ გემებს. ისინი ნელა ირწუოდნენ კრიალა ნაცრისფერ წყალში.

